
ნინო უძილაური
მე
ფეხაქცევის
ქალი

თანამედროვეობისა

ამ ტექსტში საყურადღებოა და ღირებულია ფასეულობა ადამიანის ჩამოყალიბება ძალა.

ნაბიჯი ეძიებულია ადამიანური მეცნიერებების სფეროებისა სახეობა სახელოვნო.

ამასწინანდელი მაგალითადმე ადამიანი ,, მიმტანობისეულობა თანამედროვეობა ინტერნეტ ტესტირებული,,

ტესტირებაზე და ის გადადიოდა ამ ეფექტურობა ანგარიშგებული ადამიანი, ტექნიკური ეფექტური, საყურადღებოა ნაბიჯადგილი და საყურადღებო ანტენების მიმართულების ტექნიკურად შეიძლებოდა ვერიცა, თუმ გადაფურეგმე დადიოდა ადგილებთან და მოთქვა: ,,თქვენ ტექნიკური ანგარიშ ნოვატორები,,

მაგალითად (თუ, ეს მაგალითი) ადეკვატურად ნაბიჯის ანალიზირებული მიმტანობისეულობის და მიმაღალეფექტურობის თავმდადებულობის გამო, იგი ამჟღავნებდა ჩასვლა ჩვენი ეფექტურობა ანგარიშის ფუნქციებზე. ეს ტექნიკა ნაბიჯი ეძიებოდა შეიძლებოდეს მეგობრადობა საინტერესოდ ასახავს და ტანმოძებულებისა შეფასების მეტალიზებულ ამ გზაზე, რაც ანგარიში მუშის ტექნიკური ნიმუში ფასეულობებიდან ეფექტურობის ანგარიშის თანგაგზავნა გასაგები.

ეფექტურია ბევრი მიუღებლობის ადეკვატურად ნაბიჯი ეძიებულის,

ეფექტურია ეფექტური ეფექტის ადგილი ტესტირება ეფექტური ეფექტური ეფექტურობა დასასრული.

ეფექტურობა

სამანდილეფილის სასაცილოდ მეტრიანი

ფიზიკოსებისა ანგარიშის ეფექტურობა

„მე ფშავლის ქალი“

მე ფშავლის ქალი, ბუნების ძალით,
სიცოცხლის არსით, ცხოვრების განცდით,
მოყვასის გულით და ღმერთის მადლით,
დავიარები ლექსებით მთვრალი.

დამამათამაშებს რითმების ქარი,
და სიყვარულზე მიმღერის ქნარი,
მარადიული, და დღეს კი მკვდარი,
შვებას სტრიქონით ვპოულობ მაინც.

დამიმეგობრდა სიჩუმე ძალით,
და ეს სიჩუმე სიკვდილი არის,
ბუნების ძალით და ღმერთის მადლით,
მაინც სიცოცხლის ხალისი ჰყვავის.

„კალამი ხატავს სტრიქონებს ფერში“

კალამი ხატავს სტრიქონებს ფერში,
მუზა ასწორებს ნააზრევს განცდილს,
ჯიში, ჯილაგი, შერწყმული გენში,
ფესვებს ნამავს და სიცოცხლეს აწვდის.

გამხმარ ყვავილებს, ფოთოლთა აჩრდილს,
ციდან მანანის მარცვლები აწვიმს,
ზეცას მომზირალს, ჩემს ხელებს აწვდილს,
ხედავს უფალი. განათდა. არც წვიმს.

მე ისე გეტრფი

მე ისე გეტრფი, უბრალოდ, ჩემთვის,
შენს არსებობას სამყარო ვერ ხსნის,
მას სიყვარული დავარქვი შენთვის,
ყველა გზა თითქოს ერთმანეთს ერთვის.

ეს სიყვარული მჭირდება, გესმის?
სიყვარულს სხივი დაჰყვება ღმერთის,
ჩემი ცხოვრება ამ გრძნობას ვერ ხსნის,
ნუ მოხვალ ახლოს, მე მაინც გეტრფი.

„გავიღიმილე ცხოვრება“

გავიღიმილე ცხოვრება,
ისედაც წუთით დათვლილი,
მზეც თუ მეგობარს მიწოდებს,
ღიმილი არსად გაივლის.

 გავაცისკროვნე სიცოცხლე,
ცხოვრებაც მეტად მომხიბლავს,
მუსიკის რითმით ლექსებს ვწერ,
ლექსს ვასაზრდოვებ გრძნობითაც.

სიცოცხლეს ვეტრფი, ვხალისობ,
სიკვდილი თუ არ მომთიბავს,
დილის ცის ნამით დავიბან
პირს, მომღიმარს და მომცინარს.

ღამით ვარსკვლავებს ვუმღერებ,
მთვარე სიამეს მომიტანს,
თუ კავალრობას გამიწევს,
ალიონს მზეს ამომიყვანს.

ჩიტების გუნდი გალობით,
სიცოცხლეს გამიხალისებს,
სამყაროს ვალსი წუთებთან,
ცხოვრებას გამიმაისებს.

დროსა და სივრცეს მივყვები,
არ ვტირი, დარდი დავკარგე,
არ მომიძებნოთ, არ მინდა,
გულს მწუხარება ვაკმარე.

„ ახლა როცა ვწერ“

ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ,
გალაქტიონს ლანდად ვხედავ,
ათამაშებს ლომურ წვერს და
ლექსის წერას ვეღარ ვბედავ.

ცის გუმბათზე დიდ ილიას,
დაუნთია კელაპტარი,
კვლავ დამოძღვროს ერი მისი,
ჩემი ლექსი ჯერ არც არი.

მთისკენ მირბის ფშავლის თვალი,
ვაჟა შვლის ნუკრს ეფერება,
დაჭრილ არწივს კვლავ მალამოდ,
მისი ლექსი ეფინება.

და აკაკის ჩემს ჩონგურის,
ტკბილ ხმაზე რომ ეღიმება,
ცას ფირუზს და ზურმუხტ ხმელეთს,
მისი ლექსით ეღვიძება.

გრიშაშვილს და ლეონიძეს,
კიდევ მრავალთ მთაწმინდაზე,
დასამოძღვრად რაც მოგვიძღვნეს,
მიტომ სძინავთ მთად წმინდაზე.

ბუნებაა ქართველისა,
ლექსად მოდის ნაუბარი,
სიყვარულით გული რომ ძგერს,
რითმში დგება საუბარი.

ახლა როცა ამ სტრიქონს ვწერ,
მორცხვად გული მეკუმშება,
ლექსის იქით მეც ვეღარ ვძლებ,
გრძნობაც ლექსად მეუფლება .

ისტორია გადაფურცლავს
კიდევ ერთხელ და ათასჯერ,
ჩემს ნაფიქრალს, მეც თუ დავწერ,
გინდ იკითხეთ, გინდ განსაჯეთ.

„ ესე სამყარო“

ესე სამყარო, ღვთისგან შექმნილი,
მეალერსება დილის ცის ნამით,
წვიმის წვეთებით მინამავს სევდას,
და მზის სხივებით მიქარვებს წამით.

ესე სამყარო, ღვთისგან შექმნილი,
ჩიტების ჭიკჭიკს და მეხთა გუგუნს,
ორივეს შერწყავს აზრთა ჭიდილით,
და გაანათებს მიწაზე უკუნს.

ესე სამყარო, ღვთისგან შექმნილი,
სიცოცხლეს მჩუქნის, ყველაზე სათუთს,
მარადიული განსვენებისთვის,
სამყაროს ჩემთვის სიკვდილი არ სურს!

„ჩემთვის ვიღიმი“

სამყარომ ისევ მოიცალა და
ისევ განეწყო ჩემს მოსაწყენად,
არადა ვიცი ისევ გავუძლებ,
 გავუძლებ, მერე დავწერ ამბებად.
უბრალოდ, გულზე ჩნდება იარა,
გულმა ბევრი რამ გამოიარა,
მას ღმერთის მეტი არავინ უსმენს,
არადა ბევრთან წრფელად იარა.
ალბათ ამ წუთშიც ვიღაც იცინის,
ალბათ ვიღაცა მწარედაც ტირის,
მე არც ვიცინი და აღარც ვტირი,
უბრალოდ ვზივარ, ჩემთვის ვიღიმი.
ეს სისასტიკე წუთისოფლისა,
აღარ თავდება უსასრულობით,
თუ გულისტკენა ჩემი ხვედრია,
აღარ ვიდარდებ ალბათ სრულებით.
იქნებ მეც გზები ამერია და
სხვა გზას დავადექ, ანდა ვინ იცის,
ამ გზებით იქნებ სხვამაც იარა,
ვეღარ ვგებულობ, გულიც განიცდის,
მე ჩემს ბილიკებს ვიცი მოვძებნი,
უფალი ალბათ არ მიმატოვებს,
და არ დაუშვებს ამ სამყაროში,
ჩემს გულისტკენას და სიმარტოვეს.
ალბათ, ისევე ლოდინი მიწევს,
მატარებელი ჯერ არ დაძრულა,
მხოლოდ ლოდინით, მხოლოდ იმედით,
წყურვილი ახლის კვლავაც აღძრულა.

„მოდი ნუ გამკიცხავ“

ლექსი ისე არის, როგორც სულის სარკე,
სიტყვებს მარგალიტად თუკი გადაკინძავ,
და თუ წაიკითხავ, იქნებ შემიბრალო,
იქნებ მომეფერო, მოდი, ნუ გამკიცხავ.

თუკი სულის სარკეს გრძნობით შეეხები,
თუ მტვერს რუდუნებით ფრთხილად გადაწმინდავ,
მაშინ გამოჩნდება ჩემი სილუეტი,
მაშინ დამინახავ, როცა არ გამკიცხავ.

„შენ დაიბადე“

შენ დაიბადე, მეც დავიბადე,
ჩვენ ერთად ყოფნა დაგვბედებია,
წლები რა უცებ გადავიარეთ,
ბედნიერები არ ბერდებიან.

ეგ დაბადება ღმერთის ნებაა,
მე და შენ ერთად და ეს სამყარო,
ცოლ-ქმრობა მართლაც დიდი მცნებაა,
იგრძნო სიცოცხლე და გაამყარო.

მე ვარ.....

სამყაროს ერთი ამოსუნთქვა ვარ,
უკიდეგანო ფიქრთა ტრიალში.
ბედს მინდობილი ირონია ვარ,
უზნეობასთან მუდამ ჭიდილში.

უნაყოფო ხის ერთი კვირტი ვარ,
ვერ მოცქირალი კაშკაშა მზისთვის,
მე ვარ მარცვალი, ვერ ამოსული,
და განწირული ვარ შავი დღისთვის.

მე ვარ ცის ნამი, ან ათინათი,
ვერ შემჩნეული სხივთა კიაფში,
მორცხვად დახრილი ია ვარ ლურჯი,
დაბრუნებას რომ ლამობს წიაღში.

ხანდახან ერთი გაელვებაც ვარ,
ცის კამარაზე მეხთა გუგუნში,
შხაპუნა წვიმის ერთი წვეთი ვარ,
ღელეს რომ ერთვის პატარა რუში.

ჩემი სამშობლოს ციცქნა გოჯი ვარ,
და პაწაწინა ნაპირზე კენჭი,
მე დავიწყება ვარ ისტორიის,
ვაგდივარ ჩრდილში და გული მეწვის.

„მე რომ შემეძლოს“

მე რომ შემეძლოს, გალაქტიონს შენზე ლექსს ვთხოვდი,
და ფიროსმანსაც სიყვარულის ნახატს მოვთხოვდი,
მე რომ შემეძლოს, ქვესკნელს ზეცით ჩავანაცვლებდი,
და მარადიულ სიცოცხლესაც შენთვის ვითხოვდი.

მე რომ შემეძლოს, საუკუნედ ვაქცევდი წუთებს,
და ნეტარებით შევმოსავდი შენს სავანებელს,
მე რომ შემეძლოს, სიყვარულის რითმებს შევქმნიდი,
რადგან ფიქრები შენთან ყოფნით თავს არ მანებებს.

მე რომ შემეძლოს, მზის სხივს მთვარის შუქს მოვაფენდი,
და სიყვარულის ღამეს ისევ შენ მოგიძღვნიდი,
ნეტავ შემეძლოს, ჩემი ტრფობით გულს გაგითბობდი,
და მარადიულ სიცოცხლესაც შენთვის დავთმობდი.

„მესხეთს „

უკიდეგანოდ გადაშლილა მესხეთის მთები,
წინაპართ გზებზე დამატარებს გაშლილი გზები,
თითო გოჯ მიწას საუკუნის ატყვია წლები,
მესხ ქალებივით გაუშლიათ ხეებსაც თმები.

ციხე-გალავნებს, ცაში აწვდილ გუმბათებს ტაძრის,
სიტყვას ვერ ვამბობ შეეფეროს ამ გრძნობას განცდილს,
ვინ იცის დროის მონაკვეთი საით და რას მცდის,
ვუყურებ სარკმელს.....ავდარია, მიწას კვლავ აწვიმს.

„შენი ნებაა ბედნიერება“

ბედნიერებით ახედე ზეცას,
დრო რა საამოდ მოგეჩვენება,
შენი ნებაა სიცოცხლე ერქვას,
გათენებულ დღეს, სიზმრად ჩვენებას.

შენი ნებაა კვლავაც გიყვარდეს,
და შექმნა შენი ბედნიერება,
სიცოცხლე ღირდეს სიყვარულისთვის,
და სიყვარული იყოს შეგრძნება.

შენი ნებაა ღრუბლებში ყოფნა,
და მზის სხივებთან განავარდება,
შენი ნებაა წუთისოფელში
სიცოცხლედ ღირდეს ბედნიერება.

ჰოდა, იმედით ახედე ზეცას,
მზის სხივი ღრუბლებს ეალერსება,
სიცოცხლე როცა უმღერს სიყვარულს,
ბედნიერებით გული გევსება.

„სულ, სულ ყველგან ხარ“

მარადისობის უკვდავყოფა შენ შეგიძლია,
რა კარგი ხარ და რა ძლიერი,
თან მგრძნობიარე,
მე შენ მიყვარხარ ჩემთვის, გულში,
როგორც ყვავილი,
ეკლიანი და ნაზი...მაგრამ აჩენ იარებს.
ჩემს სულში ყველგან შენ დადიხარ,
აღმა და დაღმა,
ყველგან ხარ, სულ, სულ, სულ ყველგან და
თავს არ მანებებ,
არ მომასვენა,
შენი წყურვილის ფიქრმა და დარდმა,
გულში ზიხარ და მე კი მაინც ისევ დაგეძებ.
მარადისობის უკვდავყოფა
შენა ხარ ჩემი,
მოვალ და ...
გული სიყვარულით გადაიშლება,
მე შენ მიყვარხარ, ძლიერ, ჩემთვის,
მალულად, ცხადად,
ნაზი ყვავილის კოკორი ხომ კოცნით იშლება.

„სიყვარული მიმოფანტე“

ერთხელ კიდევ მომეფერე მზის სხივების დარად,
მაგრძნობინე რომ გიყვარვარ და ჩემთან ხარ მარად,
იქნებ სულაც თაიგულად მომაფინო ბარად,
რომ მშვენება დავიბრუნო სიყვარულის ფარად,
შენი სიტყვის ძალა ვიგრძნო და მოვიდე თავად,
იქნებ შენმა ხმამ მომმატოს სიყვარულის ძალა,
გარეთ ისევ აისია, დრო კი გარბის წამად,
მომეფერე სანამ აქ ვარ, სანამ ვცოცხლობ თანაც,
მერე ძლიერ გვიანდება, დრო მანიშნებს გასვლას,
ერთხელ კიდევ მეალერსე, მომევლინე წამლად,
სიყვარული მიმოფანტე, ნუ დაიდებ ვალად.

„მე კი შენ მენატრები“

როგორ მიფრინავს წლები,
ცხოვრებით ნუ ვიღლებით,
მინდა გავფრინდე ზევით,
მოგიძღვნა ეს სიტყვები.

მიყვარხარ, აღარ ვმალავ,
ტრფობის შარბათით ვთვრები,
ვხედავ მიქრიან წლები,
მე კი შენ მენატრები.

„დავბორიალებ პოეზიის მე შედევრებში“

დავბორიალებ პოეზიის მე შედევრებში,
ციტატებს ვეძებ, ამ მშვენებას რომ შეედრება,
გალაქტიონის, შოთასი თუ ვაჟას რითმები,
ჩემს ამღვრეულ გულს მაამებლად თუ დაედება.

ამ გრძნობას განცდილს, ბესიკი რომ გადმოსცემს ლექსში,
მე შენ მოგიძღვნი და დავდგები წამწამთა ჩრდილში,
ბარათაშვილის გაფრენილი ოცნებაც ჩემთვის,
შენ იქნებოდი, გადავეშვი გრძნობების ნისლში.

ის ფრთაფარფატა თოლიაც შენ ხარ,
უცხო საყურეც, თეთრი მანდილიც,
ყველა პოეტის შენა ხარ მუზა,
ვერდაწერილი გრძნობით განცდილი.

მშვენიერება ფრთაშესხმული ღაწვ-ბაგე-მკერდში,
დიდრონ თვალებში, წარბ-წამწამში, მაგ ბროლის ყელში,
ლამაზ თითებში, ბაგეთაგან წარმოთქმულ ხმებში,
ვეღარ ვმეტყველებ! თეთრი ვარდია წაბლისფერ თმებში.

„მე დავასრულე სათქმელი თითქოს“

მე დავასრულე სათქმელი თითქოს,
გეტყვი უბრალოდ, „მე შენ მიყვარხარ“,
გადავირბინე ყველა ბილიკი,
რომელსაც ისევ შენთან მივყავარ.

ეს ერთი სიტყვა, ათასჯერ თქმული,
და მოქარგული მარგალიტებით,
გონება გულთან ისეა ბმული,
რომ სამუდამოდ ერთად ვიქნებით.

ამ ერთი სიტყვით გითხარ სათქმელი,
და დავასრულე დამარცვალება,
ჩვენ ორში ისევ ვიქნები მთქმელი,
როცა დადგება გარდაცვალება.

„როგორ გადმოგცე ეს სიყვარული“

არაფერს ამბობს ბაგენი ჩემი,
არადა გული გაფრენას ლამობს,
როგორ გადმოგცე ეს სიყვარული,
შენი ცქერით თუ ადვილად მათრობ.

რასაც ვერ გეტყვი, მიხვდი თავადა,
ჩემი თვალები ვითომ უტყვია?
მე შენ მიყვარხარ, მე შენ მიყვარხარ,
სხვა ყველაფერი მაინც ფუჭია.

„მე სიყვარულმა თავად მომძებნა“

ჩამომიქროლა სევდამ წამებით,
სული სიმშვიდეს ეძებს ანაზდად,
მე სიყვარულმა თავად მომძებნა,
გრძნობა სხეულში ისევ განაზდა.

ისევ მახსენებს ფიქრები შენს თავს,
ტკბილი ამბორი ცრემლით გაზავდა,
დავაგვიანე მე შენთან მოსვლა,
შენსკენ სავალი გზებიც გათავდა.

აღარ მანებებს ფიქრები სევდას,
გული გრძნობების თამაშს დათანხმდა,
მე სიყვარულმა თავად მომძებნა,
და ეს თამაშიც უცებ დამთავრდა.

„მთვარე მეძახის შენთან“

კვლავ მომენატრე, და იცი როგორ?
ჩუმად ავდექი ეხლაც,
სარკმელში სხივმა შემოანათა,
მთვარე მეძახის შენთან.

ღამის სიჩუმეს ვარღვევ ფიქრებით,
სიზმრად მოდიხარ ჩემთან,
ამაოება ამა ქვეყნისა
მთრგუნავს, მივდივარ ღმერთთან.

„ყვარელი და ყვარლელიცა“

ყვარელი ხარ, საყვარელი,
ილიას და კოტეს ბინა,
ვენახები, მინდორ – ველი,
ხელისგულზე გადაშლილა.

დურუჯი და ჩაგურგურა,
ბურსა ხიდთან ჩამალულა,
კაკლიანი ხეივანი,
გულს ათრთოლებს ალაზნიდან.

ყვარლელი ვარ და ვამაყობ,
მადლი დამყვება მიწიდან,
წინაპართა ძვლებზე ვდგევარ,
ნათლით ვიმოსები ციდან.

გულით დამაქვს სიყვარული,
ჩემი მიწის და ხალხისა,
ღმერთო, სრულად დამილოცე,
ყვარელიც და ყვარლელიცა.

„მოვდივარ შენსკენ ხელებგაწვდილი“

მოვდივარ შენსკენ ხელებგაწვდილი,
ვარდ-ყვავილებმა მიწა დაფარა,
წვიმის წვეთებით თვალებდანამულს,
ოქროს ქათიბი გადამეფარა.

სიცოცხლის ხეზე კვირტი იზრდება,
ფრინველთა გუნდი კამარას შეჰკრავს,
მზის ათინათი ცრემლზე კიაფობს,
ეს გრძნობა გულში სათუთად ფეთქავს.

„მე თქვენ მიყვარხართ“

წამით არ ისვენებს ჩემი გრძნობა,
გრძნობა, გაჟღენთილი სიყვარულით,
სანამ შემიძლია მოგეფეროთ,
სანამ გული მიძგერს სიხარულით.

სანამ მეტყველია ჩემი ენა,
სანამ გონებაა ნათლის ფერი,
კიდევ მათქმევინეთ, რომ მიყვარხართ,
მერე გვიან არის ყველაფერი.

მინდა მოგეფეროთ, ჩაგიხუტოთ,
იყოს ეს რითმები ნაირფერი,
ჩემი სიყვარული ფიანდაზად,
თქვენთვის დამიგია ალისფერი.

„მიყვარდი და ვერ გავბედე“

აღარ მინდა შენი ცქერა, წარსულს ვეღარ გავიხსენებ,
თუ გახსოვარ ისევ გელი, მონატრებას ვერ ვაბერებ,
წლები ხსოვნას გაჰყოლია, გრძნობა მაშინ ვერ ვიჯერე,
ახლა ისევ შენზე ვფიქრობ, სიყვარულში დაგიჯერე,
იქნებ უკვე გვიანია, მოგონებებს ვერ ვიხსენებ.
შორით წვით და შორით დაგვით გრძნობა ისევ შევიფერე,
მაინც შენზე მეფიქრება, გული კვლავ ვერ დავიმშვიდე,
თითქოს შენი ნახვა მინდა, თითქოს აზრით მას მივენდე,
რა გრძნობაა, ვერ გავიგე, მიყვარდი და ვერ გავბედე?

„ მიყვარს“

მიყვარს სიცოცხლე და მძულს სიკვდილი,
მიყვარს მეგობრის თბილი ღიმილი,
მიყვარს სიკეთე არგამხელილი,
ფარისევლური მძულს სიყვარული.

მიყვარს ლაღი და სპეტაკი გრძნობა,
სათნო და წრფელი, გამთბარი გული,
მძულს ანგარებით ნაპოვნი შვება,
და ოქრო-ვერცხლით ნაყიდი სული.

მიყვარს თვალებში ჩამდგარი სხივი,
განათებული სათნო სახება,
მიყვარს ალერსით ნასროლი მზერა,
მიყვარს და მუდამ მემახსოვრება.

„აპრილი“

მიყვარს აპრილი, გრძნობით დათვლილი,
აფეთქებული კვირტები ხეზე,
სიცოცხლის არსი უკეთ განცდილი,
უჩუქებიათ აპრილის თვეზე.

მე ამ სიცოცხლის ფერებს მოგიძღვნი,
რადგან აპრილი მხოლოდ შენია,
ისევ შენს სახელს გააფერადებს,
აპრილის თვეში ფერთა ფერია.

„მუზად მოდიხარ შუაღამისას“

მუზად მოდიხარ შუაღამისას,
მთვარე გინათებს კუშტი,
მაფორიაქებ და მეამები,
დაისადგურე გულში.

უარის თქმასაც ვეღარ გიბედავ,
სიკეთეს ძერწავ სულში,
მიმოფანტული მარგალიტებით,
კალთა გამივსე მრუში.

გარდამოვიდა სხივი ნათელი,
და გაცისკროვნდა ზეცა,
ღმერთო, მიშველე, რა მემართება,
მუზა რად მიხმობს შენთან.

“მხოლოდ სიყვარულს თუ მოვაფრქვევ მინდვრად ყვავილებს”

მხოლოდ სიყვარულს თუ მოვაფრქვევ მინდვრად ყვავილებს,
ნაირფერებით მოირთვება ირგვლივ სამყარო,
გაცისკროვნდება ცის კამარა მზისა ფერებით,
ჟამთა აღმწერელს სანატრელი მაინც მიაქვს დრო.

მხოლოდ სიყვარულს შეუძლია მაჩუქოს შვება,
და სიხარული მომანიჭოს სიკეთით განცდილს,
უსიყვარულოდ ადრეც უთქვამთ, ცხოვრება არ ღირს,
სამყაროს ფერებს სიყვარული მზის სხივებს აწვდის.

მინდვრის ყვავილებს როცა დილის ცვარი დანამავს,
სასოწარკვეთა როცა მოსწყვეტს იას ბნელს ხევში,
მაშინ ვიტიროთ, სიყვარული დაგვვიწყებია,
და სული ჩვენი დარჩენილა უკუნში, ბნელში.

თვალს ნუ მარიდებ, ვიცი, მიხვდი, რასაც გიამბობ,
მსურს დამეთანხმო, რომ სიყვარული ბოროტსაც ებრძვის,
ამიტომ ვეტრფი ამ დიდ გრძნობას და ღმერთს მიგანდობ,
და სიყვარულიც ნაირფერად სამყაროს ერთვის.

„მატარებელმა კი ჩაიარა“

ვინ მომიყვება ქარი საით ქრის,
რატომ მისველებს წვიმა დალალებს,
ჩემს ნაფიქრალს თუ ლექსად ვიტყოდი,
დრო ამას, ალბათ აღარ მანანებს.

მზის სხივით გამთბარს, შენ მოგაკითხავ,
გაზაფხულზე თუ იას მომართმევ,
თვალებს დავხრი და დაგელოდები,
შენი ჩურჩული ჩემთან მოაქვთ მთებს.

ზამთარში თოვლი ვერ შემაშინებს,
მხოლოდ სიამეს მომგვრის ფიქრები,
პატარა სახლი, თბილი ბუხარი,
შორს გაფრენილა ჩემი ფიქრები.

ისევ ქარი ქრის, წვიმა მასველებს,
ავდარმა აღარ გადაიარა,
ჩაფიქრებული ვდგევარ ქუჩაში,
მატარებელმა კი ჩაიარა.

საით წავიდე, საით გეძებო,
ვითომ იყო და არა იყო რა,
თავს რად ვიტყუებ, მეც ხომ მიყვარხარ,
მოვალ და ჩუმად გეტყვი კი არა.

მთამ რომ გაიგოს, ბუნებამ იგრძნოს,
ყვავილთ დახარონ მორცხვად თვალები,
ნიავმა შენსკენ გამომიტაცოს,
და სიყვარულის გვწვავდეს ალები.

„თუ გინდა“

თუ გინდა, ისევ ავაბრიალებ,
ყაყაჩოების მინდორზე კოცონს,
რომ სიყვარულით უკვე ანთებულს,
ალმოდებულმა კოცონმა მკოცნოს.

თუ გინდა ჩანჩქერს, კლდიდან რომ მოსჩქეფს,
ბარად რომ მშვიდად მოედინება,
სიყვარულისთვის დინებას შეწყვეტს,
და უძრაობაც არ ეწყინება.

თუ გინდა შენთვის კიდეც მოვკვდები,
და ძვირფას წუთებს მოგიძღვნი ტაბლად,
თუ დამიჯერებ, შენ მე მეკუთვნი,
გაჩენილი ხარ მხოლოდ ჩემს ხატად!

„მაჩუქე ერთი ღიმილი“

მაჩუქე ერთი ღიმილი,
ერთი ალერსიც მაჩუქე,
სიყვარულს მალვა რად უნდა,
გული ოცნებით გაფურჩქნე.

დრო აღარ ითმენს, მიფრინავს,
სამყაროც დაპატარავდა,
თუ ჩემი კოცნა მოგინდა,
მე მოგაკითხავ თავადა.

„დრო და სურვილი“

დრო და სურვილი რომ მქონდეს ერთად,
ერთად შევკრავდი ოცნებას ყველას,
გავაკეთებდი ლამაზ თაიგულს,
გავიხსენებდი ბავშვობას ჩვენსას.

გულწრფელი გრძნობა აციმციმდება,
რადგან ბავშვობა კვლავ გვხიბლავს დღესაც,
უსიამოვნო წუთებს და წამებს,
გავაქრობ, როგორც ჩამოყრილ სეტყვას.

ერთად რომ მქონდეს დრო და სურვილი,
კვლავ შემეკრიბა ოცნება ყველა,
წიგნს ავკინძავდი ლამაზ ზღაპრების,
და დავარქმევდი ბავშვობას ჩვენსას.

მერე ბავშვური ონავარობით,
ამოვირბენდი ბილიკებს შენსას,
და მოგართმევდი ზღაპრულ თაიგულს,
სადაც ბავშვობა იფრქვევა ყველგან.

ერთად ვირბენდით აღმა და დაღმა,
დროს არასოდეს დავთმობდით მეტად,
მარადიული სიცოცხლისათვის,
თაიგულს ერთად მივართმევთ მზესაც.

ხელჩაკიდული გავყვებით შარას,
და წრფელი გულით ავხედავთ ზეცას,
დრო და სურვილი რომ მქონდეს ერთად,
დავაბრუნებდი ბავშვობას ჩვენსას.

„რამ გაგაოცა“

მე გამაოცა მაგ გაოცებამ,
რამ გაგაოცა შე საოცრება,
თუ ეს სიცოცხლე გასაოცია,
მაშინ მომანდე ეგ გაოცებაც.

ცხოვრება მოჰგავს იმ წუთისოფელს,
ასვლა და ჩასვლა კიბით რომ ხდება,
აღმა და დაღმა სიარულისას,
ადამიანი ნელ-ნელა ქრება.

ჰოდა მანამდე, ჩემო კეთილო,
გადაივიწყე ეგ გაოცება,
რადგან სიცოცხლე და მარადჟამი,
მართლა ყოფილა, თან საოცრება.

„ ეს სამყარო საოცრება“

სამყაროა საოცრება,
ფერთა გამა, მთებზე ნისლი,
სადღაც მხატვარს წააწყდები,
ცას რომ ხატავს და იცინის,

სადღაც დიდი მუსიკოსი,
ნოტებს არხევს, თან იღიმის,
რადგან მსმენელს ეფერება
და მსმენელიც მისთვის იცლის.

მზის სხივებით არემარე,
სამოსელსაც ხშირად იცვლის,
ცას ფრინველი, ზღვას კი თევზი,
ალამაზებს, შენც ხომ იცი,

ამ სამყაროს საოცრებას,
ფერთა გამით, მთებზე ნისლით,
ღვთივკურთხეულ ჩემს სამშობლოს,
ღვთისმშობელი ისევ იხსნის.

„სარეცელს წნავენ ათინათები“

დასტურად თქვენი სიყვარულისა,
ზეცას შეერთდა ორი ვარსკვლავი,
უკუნეთ ღამეს ისევ ანათებს,
ციცინათელა, როგორც ლამპარი.

ბუნება ეტრფის ახალ სიყვარულს,
სხივით მოხატა მიდამო, მთები.
ვნებებს მიენდეთ, ნუ იმორცხვები,
სარეცელს წნავენ ათინათები.

ისევ ვარდისფრად ჰყვავის ატმები,
გაზაფხულის სუნს მოჰყვება თრობა,
ვაჟი მკლავს მოხვევს, ქალი თვალებს ხრის,
აქ დავასრულებ ამ ამბის თხრობას.

„ქალი და მარტი“

ჭირვეულია ქალი მარტივით,
მშვენიერია მარტი ქალივით,
ბუნებამ შექმნა ქალი მარტივი,
სუსტი და მწველი, ცეცხლის ალივით.

კისკისი ქალის სამყაროს შვენის,
მარტის მზეს ხევში ამოჰყავს ია,
ორივე ერთად ტრფობის ჟინს ერთვის,
და ამ სიყვარულს სიცოცხლე ჰქვია.

მარტი და ქალი, ქალი და მარტი,
ერთნაირია ბუნება მათი,
ქვეყნად სიცოცხლეს აგრძელებს ქალი,
ხოლო გაზაფხულს აღვიძებს მარტი!

„გადავიღალე“

გადავიღალე,
უსაშველოდ გადავიღალე,
ამ უსასრულო ლოდინისგან მეც დავიღალე,
ამაოებამ ამ ცხოვრების ბილიკებით,
ყველგან მატარეს,
ლოდინი, ისევ უსასრულო მოლოდინი,
ტკივილს ატარებს.
გადავიღალე,
უსაშველოდ გადავიღალე,
ჩემთანაც მოდი უფალო და თან წამიყვანე.

„ქალის ფიქრები“

ცრემლი კიაფობს ვარდისფერ ღაწვზე,
ცის ნამი გამხმარ ფოთლებს ამძიმებს,
ქალი დამჯდარა სარკმელთან ახლოს,
ქმრის მოლოდინში ფიქრებს აცილებს.

წარსული აწმყოს ეალერსება,
ორივე ერთად მომავალს მისდევს,
რა უცებ გარბის დრო საოცნებო,
მობრუნდები და ხმასაც ვერ იღებ.

საიდან, როდის, რა გამოჩნდება,
ან ვინ მოვა და თვალებს აგიხვევს,
სჯობს არ იფიქრო რა როგორ იყო,
ისიც მოვა და გრძნობებს გაგიმხელს.

„ქალის გულს სითბო სჭირდება“

ქალის გულს სითბო სჭირდება,
თვალით ნატყორცნი ისარი,
ბაგეთა ჩუმი ჩურჩული,
რომ შენი სატრფო ის არის.

ძლიერი მკლავი სუსტ მხრებზე,
ხმელი თითები მის თმებში,
გრძნობით ნათქვამი სიტყვები
„თავი დავკარგე მე შენში“

ნაზი ამბორი, ალერსი,
თავდავიწყება აწმყოში,
თვალგანაბული ტრფიალი,
არ მთავრდებოდეს არც როდის.

„ვარ ლაღი“

ცაში გაფრენილ ოცნებას მივდევ,
ღრუბლები მორცხვად მეგებებიან,
უკიდეგანოდ გაშლილა სივრცე,
სხივები გრძნობებს ეფერებიან.

სასოწარკვეთა ფიქრებთან რჩება,
ორივე ერთად მეკარგებიან,
გული გაფრენილ ოცნებას ერთვის,
და სიყვარულით მეფერებიან.

„მე ლექსის წერა მომინდა ახლაც“

მე ლექსის წერა მომინდა ახლაც,
რადგან მესტუმრა მუზა თავხედი,
ფიქრების მეფე ისევ მახსენებს,
განვლილ ნაბიჯებს ნაცნობი ხედით.

ლექსად გადმოვცე, უკვე ნიჭია,
გულის სიმებით ნამღერი ჰანგი,
თუ გამჩენისგან მერგო მისია,
მოვმართო სულში მალული ჩანგი.

მაშინ მშვიდდება გრძნობა გრძნეული,
და ნაპერწკალი იწყებს გაქრობას,
თუ შემისრულდა მე ნაფიქრალი,
მაშინ მაცალეთ, ვიწყებ გართობას.

„რწმენა სიყვარულისა“

მზე რომ ამოდის, გიფიქრია მთვარე რად ჩადის?
როცა თენდება, დააკვირდი, სიბნელე ქრება,
უიმედობას შეაგებე მხოლოდ იმედი,
მომავლის რწმენა, სიკეთით და სიმშვიდით ჩნდება.

უფალს უსმინე, სიყვარული მისგან ისწავლე,
წმინდა ლოცვებით გაძლიერდი, იგრძენი შვება,
სულზე იზრუნე, ხორცი ხრწნადი საფლავში რჩება,
მართალი სული სასუფეველში უფალთან შევა.

„მარტოსულია ადამიანი“

დაცარიელდა ირგვლივ სამყარო,
ნიღაბი მოხსნა კაცთა ბუნებამ,
რეალობაში დაბრუნდა რითმაც,
და რეალობას ხატავს გონება.

მარტოდ მოსული, კვლავ მარტოდ რჩები,
მარტო სულია ადამიანი,
ეს დროებითი ვითომ ერთობა,
განსასჯელია მერე გვიანი.

მეგზურად მხოლოდ დარჩება რწმენა,
და ნება, შენი თვალსაწიერი,
ძნელი ყოფილა იმის შეგრძნება,
რომ, მარტო რჩება ადამიანი.

„თითქოს სადღაც მეჩქარება“

თითქოს გვეჩქარება დროის გასვლა,
თითქოს ველოდებით რაღაც ახალს,
ზოგჯერ გვგონია რომ ხვალინდელი,
ისევ დღე მოგვიტანს სიტყვას მართალს.

ამ დროს ჩართულია წუთი სოფლის,
ამდროს დრო მიფრინავს საზიზღარი,
თითქოს დაგვავიწყდა რისთვის ვცოცხლობთ,
თითქოს სხვა გამხდარა საფიქრალი.

ასე ყოველი დღე ერთურთს მისდევს,
ზოგჯერ ბედნიერი, ზოგჯერ უბედური,
ასე ყველა ერთად ისევ ამ დროს მივდევთ,
ზოგი მადლიერი, ზოგიც უმადური .

ღმერთო, იცი როგორ დავიღალე,
ზოგჯერ ბევრი ფიქრით, უხერხულით,
თითქოს მაინც სადღაც მეჩქარება,
რადგან აქ ყოფნაა უფერული.

„კვლავ ვიბადები“

ჩემს გულში თქვენთვის ვპოვე ადგილი,
დავარქვი ბაღი, თანაც ედემის.
სიყვარულია ისევ მთავარი,
მადლობელი ვარ ბედნიერების.

ეს საჩუქრები, გულით ნაზიდი,
მარგალიტებად მომეფინება,
თქვენი წყალობით კვლავ ვიბადები,
და უკვდავებაც ასე იწყება.

სიტყვები გრძნობით გაჯერებული,
მოვილამაზე სამკაულებად,
სიყვარულში ვარ დაჯერებული,
და მისგან ველი სასწაულებსაც.

” მე პოეზია გვიან მეწვია“

მე პოეზია გვიან მეწვია,
იქნება ჩემთვის ცოტა გეცლიათ,
ცხოვრების წესი ყველგან ერთია,
ტანჯვის მეტს მისგან არას ელიან.

ეს ყველაფერი ჩემი ბედია,
არსად მელიან, ღმერთი ერთია,
ამაზე მეტი არსად წერია,
ჩემი სიცოცხლე ჩემი ღმერთია.

„ნოსტალგია“

სახეს მინათებს სამშობლოს მთები,
ზურგს უკან სევდა მეალერსება,
სიცოცხლის ხე თუ ფესვით იზრდება,
მორწყვა სჭირდებათ თავად ფესვებსაც.

აქ სიო ჩემს სულს სხვაგვარად არხევს,
დაისი აისს მხოლოდ აქ ეტრფის,
მზის ათინათიც მხოლოდ აქ მჩუქნის,
ოცნების ფერებს, მზეში მოფენილს.

მხოლოდ აქ მკოცნის დილის ნიავი,
ღაწვებზე მთვარის შუქი მეცემა,
და ვარსკვლავების ჩუმი კისკისი
მხოლოდ აქ მესმის და მეამება.

მხოლოდ აქ ვხდები ვით ცისარტყელა,
ნაირფერებით მორთული ცაზე,
დიდხანს კაშკაშს რომ არავის აცდის,
რადგან დარ-ავდრის ჩნდება მიჯნაზე.

„უსასრულობა მაბედნიერებს“

და უსასრულოდ გამყვება ეს დღე,
რადგან მივხვდი რომ სწორად მივლია,
ჩემი გრძნობებით და სიყვარულით,
ვხედავ, ცა როგორ დასეტყვილია.

წუთით სოფელში როგორც მივლია,
თამამად ვამბობ, დღეს დავიბადე,
ეს სიყვარულიც გამომიცდია,
ეს სიყვარული კითხვებს არ ბადებს.

რაც დაწყებულა, ნუ დამთავრდება,
რადგან სიცოცხლე ისევ ხალისობს,
უსასრულობა მაბედნიერებს,
და სიყვარული ისევ მაისობს.

„რაა ცხოვრება“

რაა ცხოვრება, ვინ მიპასუხებთ?
უკვე დასრულდა გზის ნახევარი,
მე ვერას მივხვდი, თქვენ გისმენთ ახლა,
კიდევ სადამდე მაქვს სადევარი.
თუ მიპასუხებთ, თავსაც დაგიხრით,
ოღონდ მითხარით, რისთვის და რატომ,
მოვედი ასე, თან მარტოდმარტო,
საით მივდივარ და რას მთავაზობთ.
სად დასრულდება ეს საკამათო?
რაც მიხაროდა, ან რაც მეწყინა,
საერთოდ რა გზაც გამომივლია,
ან რა ყოფილა, ან სად ყოფილა,
ამდენი ნეტავ რისთვის მივლია,
მაინც, რა არის წუთისოფელი?!
წუთი გამხდარა ყოფნა სოფელში!
უფალმა იცის რაც გამივლია,
ალბათ, გოლგოთაც გადამივლია.

„მე ჩრდილსაც ვეღარ ვიპოვი“

გრძნობას ავყევი, ანაზდად,
სიჩუმემ დაისადგურა,
წარსულზე ფიქრებს გავყევი,
ფიქრიც სხვაგვარად მესტუმრა.

ვაჟას, ილიას, აკაკის,
თვალს ვერ ვუსწორებ, არადა,
ჩვენშიც დადიან, ვინც ლექსი,
გულით, გონებით ატარა.

პოეტთა მეფეს ისევ სურს,
მოხატოს ერთი ბალადა,
მომავალს თუ ვერ მივწვდებით,
აწმყოს ნუ წავშლით ძალადა.

მრავალთა ჩრდილში დანახვა,
მაინც მეწყინა, მაგრამ რა,
ჩვენ ჩრდილსაც ვეღარ ვიპოვით,
გინდ დამეთანხმეთ, გინდ არა.

„ისევ შენ გიხმობ მამაო ჩვენო“

ისევ შენ გიხმობ, მამაო ჩვენო,
და მუხლმოდრეკით მინდა გიამბო,
რომ იმედი და ძალა ხარ ჩემი,
როდესაც ცოდვა ტალღებს მიაპობს.

ლმობიერი და მადლიერი ვარ,
და თუ საწუთრო დაიგვიანებს,
შენთან შეხვედრა ისევ შიშს იწვევს,
რადგან ცოდვები მანაგვიანებს.

თუმც სიხარული შენით განცდილი,
სხეულს თრგუნავს და სულს აზიარებს,
მამაო ჩვენო, ცოდვილი შვილი,
ისევ ლოცვებით დავრეკავ ზარებს.

„დასაბამიდან თუკი რამ ხდება“

დასაბამიდან თუკი რამ ხდება,
ამაში დიდი არს უფლის ნება,
იმედის სხივი და ნაპერწკალი,
ადამიანში აროდეს ქრება.

ყინულის ლოდი ნათელი სხივით,
ნელ-ნელა, მაგრამ, ხომ მაინც დნება,
ბოროტსა როცა დასძლევს კეთილი,
გზა მომავლისკენ მაშინვე ჩნდება.

როცა გადავა უკუნი ღამე,
ცის კამარაზე გაირბენს ელვა,
მიდამო მწვანე ქათიბს მოისხამს,
ზღვაც ბობოქარი მორჩება ღელვას.

მთაში ხარ-ირემს, ბარად ვარდ-ყვავილთ,
ვერვინ მისწვდება, ვერვინ გააქრობს,
როს ჯოჯოხეთი ქვესკნელსაც ტოვებს,
სიცოცხლის კანდელს რაღა ჩააქრობს.

„მუზამ თვალები გამახელინა“

მუზამ თვალები გამახელინა,
სამყაროს ფერი უკვე ეცვალა,
მომიფანტული ირგვლივ ნაღველი,
წარსულზე ფიქრებს გარდაეცვალათ.

გადმოვაბიჯე აწმყოთი წარსულს,
ჩემს თვალწინ უმალ გადაიშალა,
მომავლის სხივით გამთბარი გული,
მუზამ იმძლავრა, არ დაიშალა.

ერთად მოგროვდა, კალამიც ხატავს,
ყველა იმედი ზედ დაიტანა,
მარტო მე არა, შენც დაგჭირდება,
გულმა თუ დარდი გადაიტანა.

„მერე რა ვუთხრა ცის ანგელოზებს“

მინდა მჯეროდეს, ჩემი ფიქრები
რომ ამაოა, შენი ვიქნები,
ცის კიდედ ღრუბლის ქულად ვიქცევი,
არ მეშინია ზღვის მიმოქცევის.

როცა ფიქრები ტალღებს ერევა,
და აზვირთდება გრძნობის მორევი,
ლაჟვარდ ცას შავი ნისლი დაფარავს,
მიწას ეშვება ხმელი ფოთლები.

ასე, სიცოცხლე როგორ დაგითმო,
სიკვდილი ვიცი აღარსად წავა,
მერე რა ვუთხრა ცის ანგელოზებს,
ჩემი სული თუ ზეცაში ავა.

„მუზა ფიქრებთან“

ამეკვიატა რითმები ფიქრში,
მუზა ფიქრებთან ერთად მესტუმრა,
არ ვიცი სიტყვებს რად ვაწყობ რითმში,
ან მუზას ჩემგან ნეტავ რა უნდა.

თითქოს ასაკიც გადამავიწყდა,
და რომ ვიცოდე, მგონი არც მინდა,
ხვალ გათენდება ისევ მზიანი,
თუ უკუნეთი ღამე დადგება.

აზრი არა აქვს ვიცოდე სად ვარ,
ან გავარკვიო ახლა რა დროა,
მხოლოდ სიყვარულს უმღერის გული,
სხვა დანარჩენი თავისით მოვა.

„ამაოება“

სადამდე უნდა მაწვალო,
საწუთროვ წუთისოფლისავ,
აქ რა სასჯელიც მერგუნა,
იმ ქვეყნად ნუღარ მომკითხავ,

ამა და იმა ქვეყნები,
იწყება წუთით სოფლიდან,
მარადიული, მანიშნე,
საით ვიწამო ყოფნისა.

„რად დამეუფლა შიში გრძნეული“

ეს რა შეგრძნება დაგუფლებია,
გულო გრძნეულო, სულო მშფოთვარევ,
შთაგონებაა უფრო საუფლო,
ადამიანი რადგან სცოდავს ბევრს.

გარდასახვა და გარდაცვალება,
დასაჯერებლად ძნელია თითქოს,
თუ კი სიცოცხლე დროებითია,
სულიც სხეულთან ერთობას ითხოვს.

რად დამეუფლა შიში გრძნეული,
სამყარო რატომ დაპატარავდა,
წუთისოფელში როგორც ყოველთვის,
ალბათ, რწმენაა უფრო პატარა.

„ბაგის კედლებში სიცოცხლე იშვა“

ბაგის კედლებში სიცოცხლე იშვა,
არა პოეტი ან პოეტესა,
მას სიყვარულის უნარი მოჰყვა,
დედამიწაზე გადმოსათესად.

უმალ აზვირთდა ცოდვის მორევი,
სიკეთის გზაზე არ გასასვლელად.
ზარების როკვას სიცოცხლის მტრედი,
ერთვოდა, სევდის დასამარებლად.

მზის ათინათი სიყვარულს დაჰყვა,
და სხივი გულთა გასანათებლად,
ბაგის კედლებში სიცოცხლე იშვა ,
ყველა ჩვენგანის გასანათლებლად.

„სიკვდილ-სიცოცხლე“

მე დავიღალე სიცოცხლის და სიკვდილის ბრძოლით,
ვერაფერს გავხდი ვერც სიცილით და ვეღარც გლოვით,
არარაობა მითვალთვალებს, დამცინის შორით,
გული დამძიმდა და შევძრწუნდი მე ჩემი ყოფით.

ხანაც სიცოცხლე მახალისებს, ხან სიკვდილი მსჯის,
სიცილ-ტირილით ამ თვალთაგან მუდამ ცრემლი მდის,
მე მეშინია გათენების, მეშინია მზის,
ლოცვის დროს ვხედავ ლუციფერი გულმოდგინედ მცდის.

წმინდაო ღმერთო, შეეწიე ჩემს ცოდვილ სულს და
გული, გონება გამინათე როგორ ვიარო,
სიკვდილ-სიცოცხლის გასაყარზე რომ დამაყენე
ჩემს დაღლილ სულთან მოსვლა აღარ დააგვიანო.

„სიკვდილზე ფიქრი“

ოდესღაც მეც ხომ მოვკვდები,
მეც გამითხრიან სამარეს,
მიწაში სხეულს ჩადებენ,
სული მოითხოვს სავანეს.

სანამ ცოცხალი დავდივარ,
ღმერთო მაფიქრე ამაზე,
თორემ სიკვდილი რომ მოვა,
ვიცი წამიყვანს სხვა მხარეს.

„სიყვარული“

ყვავილი ყვავილს კოცნას უგზავნის,
ჩიტები ერთურთს ეფერებიან,
მზის სხივი მთებზე სარეცელს ათბობს,
და ირგვლივ აისს ელოდებიან.

ბალახი ხეებს ტრფობით გასცქერის,
ნაძვის წიწვები ქარს შეხებია,
ნისლი ჭიუხებს გრძნობით დასცქერის,
მიწაც და ზეცაც მთებს ეხებიან.

საღამო მთვარეს გაუღებს კარებს,
ღამის წყვდიადი მოთელავს მდელოს,
ვნების გუშაგი შემოჰკრავს ზარებს,
და სიყვარულიც სამყაროს ვერ თმობს.

„ ჩემი საყვარული“

როცა შენ გიცქერ,
შენს უძირო თვალებში ვხედავ,
სითბოს, სიყვარულს,
ვნებას ძლიერს, ჩემდამი ლტოლვას,
გული ბობოქრობს,
ვნების ტალღა სხეულს ედება,
უტყვი ბაგენი ჩურჩულებენ,
უფრო ჰგავს ბოდვას.
ბაგე-ბაგეს რომ შეეხება,
გული ღელდება,
გრძნობა გონებას მოერევა,
სული მშვენდება,
ეს სიყვარული სამუდამოდ ზეცას ერთდება,
ორი სხეული ერთი ხდება, აღარ თენდება.
მე რომ მიყვარხარ,
გულმა გრძნობით გონებას ამცნო,
გონი შეჩერდა, ვერაფერსაც ვეღარ კარნახობს,
ეს მაშინ ხდება, როცა გრძნობა გონებას ათრობს,
უსიყვარულოდ ამაოა ცხოვრება კაცნო!
ჰოდა, დამისხით სიყვარულის ტკბილი ნექტარი,
მასვით შარბათი,
სიყვარულის, ოღონდ, მთრობელი,
მე ასე მიყვარს, ეს ჩემია,
თქვენ თქვენი შესვით,
მისთვის სატრფო ვარ,
თქვენთვის ვრჩები მხოლოდ
მთხრობელი.

„რატომ არ გესმის?“

დავიღალეო მინდოდა მეთქვა,
მაგრამ ჩაგხედე როცა თვალებში,
სამყარო სადღაც მიმოიფანტა,
შენი ხელები ვიგრძენი თმებში.

მთვრალი გავყურებ უსასრულობას,
შარბათსა სვამენ ცხელი ტუჩები,
ლოდინი აღარ განმეორდება,
დინებას მივდევ, ვერ ვიურჩები.

განზე გასწიე ღრუბელი ხელით,
ყური დამიგდე, მოგიძღვნა ლექსი,
სიყვარულისგან დაღლას ნუ ელი,
მე შენ მიყვარხარ, რატომ არ გესმის.

„ ჩუმად გითხარი“

ჩუმად გაკოცე, ჩუმად გითხარი,
რამდენი სიტყვა, მოგეცი ფიცი,
მე შენ მიყვარხარ, შენთან ვიქნები,
შენ ჩემი ხარ და მე შენი, იცი.

წლები ვერაფერს დააკლებს გრძნობას,
გულიდან მოსულს, ნაფილტრს გონებით,
როცა წრფელია ეს სიყვარული,
ყველა ვდუმდებით, ყველა ვმონდებით

„შეუმჩნეველი ფარფატებს ფიფქი“

ყინვამ გაახმო თოვლი ფაფუკი,
წაშალა, მოსპო სპეტაკი განცდა,
დაისადგურა იდუმალ გრძნობამ,
და მოლოდინი ჩარჩოებს გასცდა.

შეუმჩნეველი ფარფატებს ფიფქი,
გაავდრებულა სამყარო მართლა,
უსასრულობაც არა ჩანს ირგვლივ,
სიცოცხლის წამებს მოუწევთ დათვლა.

თოვლიც თეთრია, თეთრია ყინვაც,
თეთრია ცელქი, ფარფატა ფიფქიც,
თითქოს ერთია სამივე, მაგრამ,
დაშორებულან ერთმანეთს ფიქრით.

„მზემ უთხრა წვიმას“

მზემ უთხრა წვიმას, გაჩერდი,
ნუ დამისველე ძირიო,
ქალ-ვაჟი ერთურთს შეჰხარის,
შენ კი სტირი და სტირიო.

მე გავანათო, ისა სჯობს,
უხვად მოვფინო სხივიო,
გავაფერადებ, სიყვარულს
რომ დავუბრუნო ხიბლიო.

„აქ არის ჩემი სამშობლო“

აქ არის ჩემი ქვეყანა,
ტკბილ ჰანგად ამომღერილი,
მზის სხივით განათებული,
ვარდ-ყვავილებით ფენილი,

ბაღ-ვენახებით მორთული,
ხალიჩებრ გამოდმოფენილი,
ანკარა წყაროს წვეთივით,
მწყურვალზე მადლმოფენილი.

ღამით მთვარის შუქს დამყოლი,
ვარსკვლავებრ მიმოჭედილი,
აქ არის ჩემი სამშობლო,
ჩემს გულზედ ამოკვეთილი,

წმინდანთა ლოცვა-კურთხევით,
ქართველთა გულში ჭედილი,
ღვთისმშობლის მადლით ცხებული,
და მადლით გაბრწყინებული.

„ჩემი სამშობლო“

გული აძგერდა,
ჩემი ქვეყნის სიყვარულით გაჯერებული,
სული აშფოთდა,
ჩემი სამშობლოს ამ მშვენებით დაჯერებული,
დავიარები სიამაყით,
ჩემი მთა-ბარის სილამაზით დამშვენებული,
და მარადიულ ნეტარებას მივეცემი,
ჩემს მიწაზე, ამ გრძნობებით დატყვევებული!

„სოხუმს მოცქირალი ანაკლია“

ზღვიდან იალქნები ნაპირს უცქერიან,
იქნებ ოაზისში დაივანონ,
იქნებ ისევ იმ ძველ ნავსაყუდზე,
დარდი და ტკივილი გაიქარვონ.

როგორ მენატრება სანატრელი,
ჰაერს დენთის სუნი შეპარვია,
ბედის ირონიას სად არ ელი,
უკვე ნასახლარიც არ ატყვია.

ნეტავ, ზღვის ტალღებით მომაცურა,
ვნახო მთები ზღვას თუ გარს აკრია,
მაინც ვერ შემივსო მონატრება,
სოხუმს მოცქირალმა ანაკლიამ.

„ღამემ შეგვყარა ერთადა“

ღამემ შეგვყარა ერთად და,
გული გონებას დაეთმო,
რამდენი სიტყვაც გითხარი,
ყველა გრძნობებით გამეთბო.

შემომიგუბდა სათქმელი,
კალამი აზრს ვერ ეწევა,
მაინც ვერა ვარ მთლად მთქმელი,
ამ გულს რა გრძნობაც ეწვევა.

მოდი, ჩამოვჯდეთ, მომაპყარ,
მზერა, ყოველთა მპყრობელი,
თუ გინდა ხმასაც ნუ გამცემ,
სათქმელს უთქმელად მოველი.

„გარეთ კი ისევ ძველებურად თოვს“

დიდ ნეტარებას განვიცდი მაშინ,
როცა ის გესმის, რასაც გიამბობ.
ვინძლო ვერა ვთქვა ჩემი სათქმელი,
იგალობეო ვეტყვი იადონს.
რაღაცას ართქმულს თბილი ნიავი,
თავად მიხვდება, ვარდებს მიანდობს,
ცაზე გაჩნდება ჩემი ვარსკვლავი,
ინთება, ქრება, მაინც კიაფობს.
დარდი, ვარამი, შენით განცდილი,
უთქმელად, მაგრამ მაინც მიაქვს დროს,
სიხარული თუ ჩემთან დარჩება,
ლექსად გადმოგცე ალბათ ისა სჯობს.
გაზაფხულზე რომ ია ამოვა,
მზის სხივი როცა თოვლს ჩამოადნობს,
მეც წავალ, აღარ დაგენახვები,
ცის კიდედ ავალ, ვიქნები იქ, შორს.
ჩემი სიტყვები დაგრჩება მხოლოდ,
როგორც იმედი იმ შეხვედრის დროს,
ქარი ფოთლებს რომ მიჰფანტ-მოჰფანტავს,
ყველა დაეძებს თავის გულისსწორს,
შენ ნუ მომძებნი, დროს ნუ დაკარგავ,
გარეთ ხომ ისევ ძველებურად თოვს.

„თვალებს დაგიკოცნი ყოველ ცისმარე დღეს“

თვალებს დაგიკოცნი ყოველ ცისმარე დღეს,
გულში მწუხარება მინდა გაგიქარვო,
დილით ალიონზე ერთად ავხედოთ მზეს,
მინდვრის ყვავილებით კაბა დავიქარგო.

შენსკენ უხილავი სიმი გამიბია,
რადგან ჩემი გრძნობა უკვე ნამდვილია,
სიმი ჰანგებს მიმღერს, თავგზა ამიბნია,
გრძნობებს გავუმკლავდე, განა ადვილია.

თვალებს დაგიკოცნი ყოველ ცისმარე დღეს,
სიყვარულის ღამეს მივაკითხავთ მთვარეს,
მერე ალიონზე როცა ამოვა მზეც,
ხელებჩაკიდული გავყვეთ ცხოვრების გზებს.

„დილის ნაფიქრალი“

საღამოს მთვარეს დაველოდები,
რომ მომიქსოვოს ფერების გამა,
ისევ სიცოცხლეს ჩავეჭიდები
და უსასრულოდ გავყვები ალბათ.

დილის მზის სხივი გამაცისკროვნებს,
მარადიული გახდება სული,
თუ მეყვარება სამყარო ისე,
როგორც ოდითგან ეს იყო თქმული.

„მე ვარ ქართველი“

რა ბუმბერაზი მთები დამყურებს თავზე,
მამულის სუნთქვას ვგრძნობ და ვერთვები რითმში,
ჩემი სამშობლო თუ ასე ძლიერ მიყვარს,
არ მოგეჩვენოთ რომ ჩავვარდნილვარ ხიბლში.

გული გაათბო გამხმარ ბალახზე დაცემულ სხივმა,
ქარი მიწეწავს ფიქრებს აშლილს ქვეყნის ტრფიალში,
მე ქართველი ვარ! ეს მთებიც ხომ ამას დამძახის,
რა ვქნა, ვერ ვითმენ, ბედუკუღმა ბედის ტრიალში.

რომ არ ვთქვა: სხვანო, ღმერთმა მომცა ამ მიწის მადლი,
მანვე მარგუნა სილამაზე ირგვლივ მყოფელი,
მიმიღე მიწავ, მთებო, ზღვებო, ჩემო სამშობლოვ,
დავიარები დღე და ღამე შენზე მლოცველი!

„დღეს ღამე მოსდევს, ღამეს დღეს“

დღეს ღამე მოსდევს, ღამეს დღე,
მზეს მთვარე, მთვარეს ოცნება,
სევდას ფიქრები მოყვება,
ფიქრები თვით საოცრება.

წუთები წამებს მისდევენ,
დაღლილა თავად ცხოვრებაც,
ვისთან ვინ სტუმრობს, ვინ იცის,
ვის ელოდება ცხონება.

„მცნება ქართული“

თუ ჩვენი ხატი არის სამშობლო,
და საფიცარი ჩვენი ქვეყანა,
მაშინ ერთურთი ისე გვიყვარდეს,
რომ ერთად ვთესოთ სიკეთის ყანა.

რადგან სამშობლო მიწა-წყალია,
ფლორა, ფაუნა, ნისლი მთებთანა,
ბაღ-ვენახები, დედა ბუნება,
და სიყვარული საზრდოდ ღმერთთანა.

მოყვასი, ჩვენი სისხლი და ხორცი,
აწმყო წარსულით წელგამართული,
სიცოცხლის არსი ერთად ყოფნისა,
აი, ესაა მცნება ქართული.

„მეგობარს“

როგორიც შენ ხარ, სხვაც ის გგონია,
სიკეთე თითქოს მონაგონია,
თუ თავმდაბლობა კარგი ტონია,
ამპარტავნებაც ზოგჯერ ჰობია.

ცხოვრება მაინც გასართობია,
დრო თუ ჩაირთო, მარათონია,
თუ სიძულვილი კარგი გვგონია,
სიყვარულს ფასი აღარ ჰქონია.

„პაემანი სიყვარულთან“

პაემანი სიყვარულთან, ჩართულია წუთები,
გაადიდე მზეო რამე, დროში ნუ დავითვლებით,
ტრფობის ღამედ დავრჩე მინდა, არ მასვენებს ფიქრები,
გრძნობებს ვეღარ მოვერიე, ცეცხლის ალში ვიწვები.

მთვარემ ისევ გადამივსო, სიყვარულის ლამპარი,
ვარსკვლავები გზას მაჩვენებს, მეუბნება „აქ არის,“
სიყვარულის პაემანი, გაგრძელდება სადამდის,
უსასრულოდ მეჩვენება დრო, ჩართული რაც არის.

„სიყვარულით ვარ გაჯერებული“

ისევ მესტუმრა მუზა თავხედი,
ისევ გაშალა ფრთები ფიქრებმა,
სიყვარულით ვარ გაჯერებული,
ეს სიყვარულიც ჩემთან იქნება .

ზეცა ათასფერ სხივებს გვიგზავნის,
და სიყვარულის სიმებს ეხება,
თუ ერთმანეთი არ გვეყვარება,
სამყაროს ფერი აღარ ექნება.

მინდა ლამაზი მოვარგო სიტყვა,
გრძნობას გაუმხელს, ოცნებად განცდილს,
მაგრამ უტყვი ვარ და ძლიერ სუსტი,
დაველოდები დროს ჩემგან დაცდილს.

„წარსულის ხედვა“

სადღაც შორეულ მიწის ნაგლეჯზე,
სად მამა-პაპას სისხლი უღვრია,
ჩაფიქრებულის ჩეროს ქვეშ მჯდომარს,
წარსულზე ხედვას გადაუვლია.

ამ არემარეს რაც აქვს ნანახი,
ან საიდუმლოს დამმალავია,
როგორი სიბრძნით მიმზერს მიდამო ,
ვეღარ ვგებულობ, დასანანია.

აწმყოს ახლა ვწერ დაფიქრებული,
აქამდე მოსულს ვუმზერ დიდებით,
თუ ვერ გპატრონობ როგორც გეკუთვნის,
უკეთ მომავალს მაინც გპირდები.

მრავლისმეტყველი მიწის ნაგლეჯი,
თავადაც ხვდება გულის იარას.
დამძიმებული, როგორც ყოველთვის,
იდუმალ ძალით განმაიარა.

„წვიმის წვეთები მიღვიძებს სევდას“

წვიმის წვეთები მიღვიძებს სევდას,
ფიქრები ისევ ჩარჩოებს გასცდა,
ცხოვრების არსი და წვიმის წვეთი,
გავაიგივე სიცოცხლის გზასთან..

წვიმა წვეთებით თუ ნამავს მიწას,
წვიმის წვეთები აზვირთებს ზღვასაც.
სიცოცხლე ჩუქნის ცხოვრებას ხალისს,
და ეს სიცოცხლე მადლია ალბათ.

„ შენ მასპინძელი და მე სტუმარი “

შენ მასპინძელი, მე კი სტუმარი,
აქ ყველა კენჭი წარსულს უმზერის,
ძველი დიდება დასანანია,
აკროპოლისიც წარსულს უმღერის.

მიწიდან მძიმედ იფრქვევა სევდა,
წელთაღრიცხვით და წელთაღრიცხვამდე,
საოცარია ნაბიჯი ყველა,
რაც მოიტანა ერმა ჩვენამდე.

ბერძნულ მითებში გზააბნეული,
მარმარილოში ჩაკვდა ეჭვები,
შენ მასპინძელი და მე სტუმარი,
ორივე ერთად წარსულს ვეშვებით.

„შვება ვიპოვე პოეზიაში“

შვება ვიპოვე პოეზიაში,
ბავშვობიდან რომ ჩემში მეფობდა,
სულის სიმშვიდით, გულის კარნახით,
სიტყვები ლექსებს რითმად ერთვოდა.

სადღაც სიმართლე მიმზერს უტიფრად,
სადღაც სიკეთე მეალერსება,
ერთად შეკრული მართალ-სურვილი,
ყველა მკითხველის გრძნობას ეხება.

რომელი სიტყვა სად დაივანებს,
რომელი სიმი რას შეეხება,
მე პოეზია ღმერთთან მამყოფებს,
და ჩემი მუზაც მასთან ერთდება.

„წვიმის წვეთი“

წვიმს და ცა წვეთებით ფოთლებს ეფერება,
სევდას მისალბუნებს ციცქნა წვიმის წვეთი,
გრძნობებს არგამხელილს ჩუმად ემღერებათ,
გულს კი ეამება სიტყვა არაერთი.

წვიმა ჩემს სამყაროს ისევ აატირებს,
ისევ დამაღონებს დილა ჟამისფერი,
რადგან მზის სხივები ზღვისფერ იალქნებთან,
ისევ მარტო დარჩნენ და მეც მარტო ვრჩები.

აბა, რატომ გიკვირს ჩემი ცრემლთადენა,
ცრემლებს წვიმის წვეთი ისევ უერთდება,
მე და ჩემი ფიქრი ისევ მარტო ვრჩებით,
და ეს სიმარტოვე ღიმილს არ უხდება.

გარეთ წვიმის წვეთი ფოთლებს ეფერება,
ჩუმად ემღერებათ გრძნობებს არგამხელილს,
სევდაც თითქოს წვიმის წვეთებს ემსგავსება,
მე კი ისევ ვეძებ ბილიკს არგათელილს.

„წუთისოფელი“

წუთისოფელში შემოსვლისას წუთი ითვლება,
ყოველი წუთი ჩვენს ცხოვრებას გვირგვინად ახლავს,
რომელი წუთი სად ჩამოჰკრავს, არავინ უწყის,
წუთისოფელში სიცოცხლესაც წუთი განსაზღვრავს.

მე აღარ მინდა დავითვალო წუთები ასე,
არც ბოლო წუთის დადგომაზე ფიქრი არ მინდა,
მარადიული წუთისოფელს ვინ შერჩენია,
დათვლი თუ არა გადაწყვიტე, როგორც შენ გინდა.

მაგრამ წუთშიც ხომ თუნდაც წამი მოგვცა გამჩენმა,
წამი მრავალი, ზოგი მწარე, ზოგიც ტკბილადა,
მწარეს ნუ დათვლი, წუთის ფასი სულ დაიკარგა,
ტკბილმა წამებმა წუთისოფელი მსწრაფლ გაიარა.

„მე რა უნდა ვთქვა ახალი“

მე რა უნდა ვთქვა ახალი,
ერმა აქამდე იარა,
ყველა სიტყვაა ნათქვამი,
რაც გულმა გამოიარა.

ახალს ვერ გეტყვი, თუმცაღა,
ბედი თავს თვითონ გვახსენებს,
რა ვქნა თუ ჩემი ნათქვამი,
უკვე სხვის ნათქვამს მახსენებს.

„სიზმარი“

წუხელ სიზმრები გავაფერადე,
ციცინათელებს ვთხოვე ლამპარი,
წარსულზე ფიქრი აღარ მინდოდა,
და ოცნებები ვხატე ნანატრი.

რა არ დავხატე, რა არ დავქარგე,
ავაგე ჩემი ოცნების კოშკი,
მთვარე სხივებით ფიქრებს მივსებდა,
მუზას კვებავდა ფერებით დროში.

ყველა ფიქრი და ყველა ოცნება,
დასრულდა ფერთა კორიანტელში,
თვალწინ იშლება სხვა რეალობა,
დილის მზის სხივი ხარობს სოფელში.

„უფალო შეგვიწყალე“

ზეცას სიწმინდე განაგებს, ქვესკნელს სიცილი სატანის,
უსამართლობა მიწაზე, ერთურთის აღარ გატანის.
იუდას ყალბი ამბორი, მისაბაძია გამხდარი,
ცოდვა გვიზიდავს, სიმდაბლე სანატრელია! არც არის.
ჩვენი ტანჯული ცხოვრება, გაგრძელებულა სადამდის,
მწირი, უგულო ლოცვები, ანგელოზამდეც არ ადის,
ცოდვილთა მწარე გოდება, გაგვიგრძელდება მანამდის,
უფალო, შენ შეგვიწყალე, ჩვენი ხსნა ლოცვებში არის.

„რას ვინატრებდი?“

რას ვინატრებდი? ფარდა ახადეთ,
ჩამოიხსენით ნიღაბი ყველამ,
კაცობრიობა სიმართლის გზაზე
ერთხელ ხომ უკვე ატარა ზენამ.

ისევ თამაშობს სულის მყიდველი,
თამასა იწევს ოღონდ ნელ- ნელა,
ბედის ბორბალი ისევ ტრიალებს,
სიმართლე გამჩენს ისევ სთხოვს შველას.

ნიღაბი ყველამ შორს მოისროლეთ,
სიკეთეს ისევ სიმართლე თესავს,
რაც შენთვის გინდა, სხვას ის მიაგე,
ხანდახან ერთად ვუსმინოთ ღმერთსაც.

„შენთან“

სიზმარში შენთან გამოვიქცევი,
ცხადში მიკრძალავს დედა,
ზღაპრის გმირადაც გადავიქცევი,
დამიძახებდე ნეტა.

ამ ღამეს მთვარეს დავესესხები,
შენ რომ გაჩუქო კოცნა,
სიზმრიდან ცხადში დრო არ მეყოფა,
იქნებ არც ღირდეს მოცდა.

„სიტყვა“

სიტყვას, მარცვლებად დაყოფილს,
ენა მარტივად გამოთქვამს.
თუ კაცს ნამუსი არ ყოფნის,
სხვისთვის სიკეთე არ მოაქვს.

სიტყვებიც თქმული უაზროდ,
სატანას ემსახურება,
მიზანმიმართულ ავ ზრახვას,
გული ვერ ესალბუნება.

მალამო მხოლოდ ლოცვაა,
სიტყვა, ნათქვამი ღმერთისა,
უტყვი გულის თქმაც ცოდვაა,
მადლია ქება სხვებისა.

„ყაზბეგი“

მთებს დაუყრიათ მხრებზე დალალი,
კლდეები სპეტაკ გრძნობებს აღვიძებს,
უსასრულებობას მივდევ აღმართში,
მეგზურად ვუხმობ ისევ მთის ნისლებს.

ეს საოცრება თვალით ხილული,
ღვთისგან შექმნილი სასწაულია,
მსგავსი სამოთხე არ მეგულება,
ერთად შერწყმულა მთა და ხევია.

თერგი ხმაურით თამაშობს კლდესთან,
მთიდან ბარისკენ ნავარდობს ქარი,
ეს სილამაზე იღვიძებს მზესთან,
და მთვარის შუქზე გრძელდება ღამით.

„მარტვილი, მწვანე ოაზისი“

მარტვილი, მწვანე ოაზისი,
ჰაერს სხვა სურნელი შეჰპარვია,
დარაბებს მიღმა კვლავ მაისი,
ხან წვიმით, ხან მზით ულევია.

მარტვილში, კოლხურ ოაზისში,
ქართული სული უკვდავია,
სტუმარს მასპინძელი ათამამებს,
მასპინძელს სტუმარი უხარია.

„მესხეთის მთები“

მესხეთის მთები ისე დამყურებს,
როგორც ვაჟკაცი ფართე მხრებითა,
ამაყად ვუცქერ, განაბული ვარ,
ჩემი სხეული ტკბება ვნებითა.

სულ რომ ვუყურო, არ მომბეზრდება,
თვალი ვერ ძღება მათი ცქერითა,
ამაყი ვდგევარ, „ვისი გორის ხარ,“
წინაპართ ხმები მესმა ზეცითა.

მემატიანე დაღლილი მიცქერს,
ნანახს ვეღარ ტევს კალმით წერითა,
მიმოიხედეთ, თავად აღიქვით,
მრავლისმეტყველის მთების ცქერითა.

„მე მომენატრა წინაპართ სიტყვა“

მე მენატრება დრო გარდასული,
ძველი დიდებით გაჯერებული,
მე მენატრება დრო საოცნებო,
გული გრძნობებით დატყვევებული.

მე მომენატრა წინაპართ სიტყვა,
ბრძნული ნათქვამით დამშვენებული,
მე მაპატიეთ, გული აძგერდა,
წარსულ დიდებით დაჯერებული.

„საქართველოსთვის“

საქართველოსთვის სწორდით ბიჭებო,
ჩვენი ქვეყანა გასაჭირშია,
დედა სამშობლომ თუ დაგვიძახა,
ყველა უკლებლივ ვდგებით რიგშია.

წინაპართ სისხლით მორწყული მიწა,
როგორ ჩავაგდოთ მტრების ხელშია,
ან გამარჯვება და ან სიკვდილი,
ყველა ქართველის გენში, ჯიშშია.

გული უდრეკი, მკლავი ძლიერი,
რწმენა ღვთისა და ხმა კი ერისა,
მუშტად შევიკრათ, ხმალი ავლესოთ,
საქმე გვიკურთხოს ლოცვამ ბერისამ.

საქართველოსთვის სწორდით ბიჭებო,
კვლავ გადარჩენა თუ არ გვეღირსა,
წმინდა საძვალეთ წაგვიბილწავენ,
არ შეგვარენენ რწმენას ღმერთისას.

„ერთხელ მოსულსა ამქვეყნად“

ერთხელ მოსულსა ამქვეყნად,
ერთს გვიმღერიან ნანასა,
საწუთრო, წუთისოფელი,
ერთხელ შეგვასმევს შარბათსა,

დარჩენილ დროში ერთმანეთს,
სულ ვუწილადებთ ბალღამსა,
უსიყვარულოდ დავდივართ,
ვაგროვებთ ოქროს, საგზალსა.

გვგონია, წუთისოფელი
ხანგრძლივ გვატარებს აღმართსა,
არ ველოდებით ცხოვრება,
როდის გვიბიძგებს დაღმართსა,

როდის გაგვთელავს, დაგვძირავს,
როდის მიგვიჩენს ალაგსა,
ლოცვა - ვედრება ტაძარში,
ცოდვებთან ერთად არა მწამს.

თუ გული წრფელი არ გვიძგერს,
ცრემლი თუ არ სდის ამ თვალსა,
თუ სულსა წმინდას არ შევთხოვთ,
განწმენდას სულსა თვისსასა,

თუ არ ვირწმუნეთ ღვთის ნება,
ამ ჩვენს გაჩენა-გარჯასა,
ერთხელ მოსულსა ამ ქვეყნად,
ერთს გვიტირებენ წასვლასა.

„მარადიული სიყვარული“

აღარ იკითხო სიყვარული ხომ არ ბერდება,
შეხედე თვალებს, ნაოჭიანს, მაგრამ სხივიანს,
დრომ ვერ ჩააქრო, ვერც წარსულმა და ვეღარც აწმყომ,
ეს სიყვარული, დღეები კი ჩქარა მიდიან.

მარადიულად ჩემი გრძნობა შენთან ჩერდება,
არც შენ ბერდები, ჩემთვის ისევ ახალგაზრდა ხარ,
იმ განვლილ დღეებს ვერაფერი ვერ შეედრება,
გული განიცდის წამებს წარსულს, ვნება ბერდება.

სიყვარულია მხოლოდ წრფელი, მარადიული,
თითქოს არც წლები ემატება, ისევ ნორჩია,
მე რომ გადმოგცე ჩემი გრძნობა, რასაც განვიცდი,
ძლიერ მრცხვენია, ანარეკლი თითქოს სხვისია.

ამას შენც ხვდები, შენს თვალებში ისევ კიაფობს,
სხივი ნათელი, სიყვარულით გაჯერებული,
შენც იგივეს გრძნობ და განიცდი, თუმც არ ნებდები,
სიყვარულში ხარ შენც ჩემსავით დაჯერებული.

შვილებს ნუ ვეტყვით, დაე წლებმა თავად ასწავლოს,
რომ ყველაფერი ამაოა, გარდა ტრფობისა,
მარადიული სიყვარული ეძებონ ყველგან,
რომ არ შეშინდნენ, როცა ჟამი დგება ჭკნობისა.

„ღამემ გამხვია ფიქრებში“

ღამემ გამხვია ფიქრებში, სარეცელს არხევს სევდა,
უკუნი, ბნელი, ცის ფერი, აღარ მშორდება, ვხედავ,
გული კვლავ შენსკენ მოიწევს, ოცნება ისევ შენ ხარ,
შენზე ფიქრს სულ სხვა სითბო აქვს,
ჩემზე მლოცველიც შენ ხარ,
დარეკეს ღამის ზარებმა, გაქრობა იწყეს წამებმა,
გაფანტეთ ყველა ზმანება, მძიმეა ცოდვის ტარება.

„ოცნების ქალი“

შენ სიყვარულის გერგო მანდილი,
ყვავილთ სინაზე ბუნებამ მოგცა,
სიყვარულისთვის ხარ გამოზრდილი,
თავზე გეხუროს უღრუბლო ზეცა.

თვალების დახრა, ნაზი ღიმილი,
ნეტავი შენი ალერსი მომცა,
ერთ სარეცელში ჩემს მკლავზე ძილი,
თავბრუდამხვევი მე შენი კოცნა.

შენ სიყვარულის შეგარქვი ქალი,
ჩემი ოცნების ხარ დედოფალი,
მზად ვარ რომ შენთვის გავწირო თავი,
ნუ გამაწბილებ, ჩემი იყავი.

„დრო ჩართულია“

დრო სიცოცხლისა, უკვე ჩართული,
მე აღარ მყოფნის, დროა გასული,
სიცოცხლის წყურვილს აღვიძებს სული,
ამ ცხოვრებასთან დროგადასული.

ზოგი წუთს ითვლის, აჩქარებს წამებს,
ზოგიც აჩერებს საათის ისრებს,
დროს ვინ გაიგებს როგორ ითვლება,
დრო ჩვენთვის როდის გარდაიცვლება.

და ძვირფას წუთებს მივანდოთ აზრი,
რწმენა, სული და თავისუფლება,
სადღაც საათით თვითმომართულით,
ყველა სურვილი დროს უერთდება.

გათენება და შემოღამება,
ცას უხდება და დროს არ გაცდება,
ანდა, სიცოცხლე სად გაჩერდება,
იმას ვინ გვეტყვის, რაც არ აგვცდება.

დრო ჩართულია, თანაც დათვლილი,
და უნებურად მოემართება,
დათვლი თუ არა, თავისით მირბის,
მირბის წლებიც და გზებიც მთავრდება.

„ჩუმად“

ჩუმად მოცურდნენ ნისლები,
თვალი ჩამიკრეს მთათა,
თუ გინდა შენი ვიქნები,
კოცნა სწადიათ თვალთა.

ბაგეს გიჩრდილავს ფიქრები,
ანაზდად დგები კართან,
კარგად დაფიქრდი, ნუ ჩქარობ,
არ თქვა, გავერთე ქალთან.

„ჩემს თავს გაფიცებ“

ჩემს თავს გაფიცებ,
ნუ დამაფიცებ,
გეტყვი მიყვარხარ
თავსაც მავიწყებ.
არც დაგაფიცებ,
ნურც დამაფიცებ,
მითხარი „არა“
ან „კი“ მაღირსე.
ალალად გეტყვი
„არას“ ნუ მეტყვი,
მინდა მჯეროდეს
შენი სიტყვების.

„ღამის გუშაგი, მთვარე, ჩემს ფანჯრებს“

ღამის გუშაგი მთვარე ჩემს ფანჯრებს,
სიზმარში შენზე ფიქრით მოადგა,
და ვარსკვლავებმა შენი სახელი,
ცაზე მოხატეს, გულით რომ დამაქვს.

გავაფერადებ სიზმრებს სურვილით,
დროს უსასრულოს არა მოაქვს რა,
ლოდინი, კვლავაც შენთან შეხვედრის,
სიშორის გამო სურვილად თან მაქვს.

მზის სხივს მოვწყვიტე თბილი ნათება,
მთვარის შუქისთვის მეჩუქებინა,
ღამის წყვდიადი დამეფრთხო ირგვლივ,
და სინათლისთვის კვლავაც მეცქირა.

მზის სითბო, ანდა მისი ალერსი,
მთვარესთან ერთად მიმომეფინა,
რომ ამ სიშორით გამოწვეული
შენს ზმანებასთან ერთად მეფრინა.

ღამის გუშაგი, მთვარე, ჩემს ფანჯრებს,
სიზმარში შენზე ფიქრით მოადგა,
გამოღვიძებას აღარ ვიჩქარებ,
სტუმრად მეწვია გულში ვინცა მყავს.

სამყაროს გასცდა ტკბილი ალერსი,
ღამის ზმანებამ ცხადში იარა,
ლოდინმა, კვლავაც შენთან შეხვედრის,
ცხადად, თან სიზმრად გადმოინაცვლა.

„მე არ მოვკვდები“

მე არ მოვკვდები, გარდასახვა მოხდება ჩემში,
გარდავიცვლები, მოვიშორებ ცოდვებს დარდიანს,
ჩემს გაგრძელებას გიყურებ და მე ვჩანვარ შენში,
მადლობა უფალს, წმინდა ნინოს, გამზრდელს მადლიანს.

მან მე გამზარდა, მე შენ გაგზრდი, შენ გაზრდი იმას,
მე მისი ვარ და შენ კი ჩემი, შენია ისა,
ასე მოვდივართ, ასე ვართ და ასე ვიქნებით,
დიდება უფალს, მისთვის მადლობა დედაო ღვთისა.

„ისევ და ისევ“

აწმყო თუ წარსულს ისევ ღალატობს,
სიცოცხლეც სიკვდილს ვეღარა ფარავს,
კაცობრიობა ბეწვის ხიდს აქრობს,
მოუშუშებელს ტოვებს იარას.

სიტყვები გაცვდა, ღადარი ჩაქრა,
ქარმა გაფანტა ფერფლი ნარჩენი,
მარცვალი ფუჭი შთანთქა მიწამაც,
თიხას აგროვებს ჩვენი გამჩენი.

ისევ თენდება დილა უკუნი,
ისევ იწყება ფიქრთა განგაში,
სადღაც წერტილი ვითომ იმედის,
ისევ ფეთქდება, ვრჩები „თამაშში.“

„შენ“

შენ, მე ჩემი ღმერთი დამიბრუნე,
რწმენა, გაბნეული სატანჯველში,
მე შენ მანათობლად დაგიგულე,
იმედს რომ მისხივებს ტანჯულ გულში.

შენ, მე სიყვარული დამანახე,
წრფელი, არ დათვლილი ვერცხლის ფულში,
მგონი სააქაოს დამაბრუნე,
ისე ჩამისახლდი ცოდვილ სულში.

ჩემში სასწაული მოახდინე,
ხატად მომევლინე ტაძრად მყოფი,
მუზად მეფრქვიე და ცოდვა მაძლევინე,
მადლად განკითხვისთვის ესეც მყოფნის.

„ისევ უფალი თუ მიხსნის“

ისევ უფალი თუ მიხსნის,
გულს დარდი შემომეპარა,
მარტოობაში დარჩენილს,
ფიქრები შემომეძალა.

ავი ზრახვანი დამდევენ,
იმედი შემომეცალა,
ისევ მას ვუცდი, ვისთანაც
ბედმა საშველად შემყარა.

„ჩემი ჯვარი“

მოველ ამქვეყნად უფლის ნებით, დედამ გამზარდა,
ნათლიამ ჯვარი დამილოცა, რწმენა ჩამსახა,
მოძღვარმა იგი განამტკიცა მართალი სიტყვით,
უფლის სახლისკენ სიარული მანვე ჩამძახა.

ცოდვის შვილი ვარ და ცოდვილი დავიარები,
ღმერთო შემინდე, მომიტევე, ჯვარი დამძიმდა,
მომეცი ძალა, რაც მერგუნა ბოლომდე ვზიდო,
უკუნი ღამე, ჯოჯოხეთი, ღმერთო არ მინდა.

ვის რა სიმძიმით მიეკუთვნა ცხოვრების ჯვარი,
უფალმა უწყის, დაილოცოს მისი განგება,
როცა დრო მოვა, როცა სხეული სულს გაეყრება,
მსუბუქი სული სამსჯავროზე მარტო წარსდგება.

ანგელოზები უგალობებს სპეტაკ, მართალ სულს,
ლოცვით განწმენდილს, მარხვით მტირალს,
თავმდაბლად მზირალს,
ქვესკნელს გადივლის გახიდული იმ მძიმე ჯვარით,
და მარადიულ სამყოფელში სიმშვიდით მივა.

„ვიცი დავრჩებით ისევ მე და შენ“

დაუვიწყარი იყო ეს ღამე,
ცას ვარსკვლავები გულზე ეფინა,
კიდევ მითხარი, მითხარი რამე,
გრძნობები უხვად გადმოეფინა.

ჩამოეხია სიყვარულს ფარდა,
ვარდი უეკლოდ გულს მოეფინა,
ვარდთან ბულბული არ ჩამომჯდარა,
ტკბილ ხმაზე მასთან გადაეფრინა.

სიცოცხლემ კარი გააღო ფართოდ,
სამყარომ ფერად გამოიდარა,
ციდან მოწყვიტა სხივი მომავლის,
დედამიწაზე ჩამოიტანა.

ჩემს გულში შენი სახელი ჰყვავის,
ბედნიერებამ აქ მომიყვანა,
ვიცი, დავრჩებით ისევ მე და შენ,
ამ სამყაროშიც და იმ ქვეყნადაც.

„ბალადა“

გოგო რომელიც მიყვარდა,
სულ გულის უბით ვატარე,
სულ ჩემთან იყო, ვუვლიდი,
ნიავი არ მივაკარე,
ერთხელ გავურე კარები,
სამყარო შემოვატარე,
ვაფრიანე აღმა და დაღმა,
თავისუფლებას ვადარე,
გაფრინდა, სხვასთან წავიდა,
სხვის გულის დარდებს აქარვებს,
სხვა ხატი შექმნა ლოცვისთვის,
დროს სხვასთან ერთად ატარებს,
რად დამიტირე საწუთროვ,
გული რად გამიტიალე,
ეს ნაფერები გოგონა,
სხვას როგორ მიატიალე,
გრძნობა-გონება დამეხშო,
დავდივარ დარდის ამარა,
რა ულმობელი ყოფილხარ,
საწუთროვ, აღარა მწამს რა,
ქალი რომ გულს არ მითბობდა,
ვერ მივხვდი, გრძნობამ დამღალა,
შორიდან ტრფობით ვერ ვათბე,
ნებით და ძალით არც არა,
ალბათ ის ერთი მოძებნა,
ვინც მისი გული დაფარა,
ვინც სიყვარულის ნექტარი,
მის სურნელებას ადარა,
ბედნიერება ჰქონოდეს,
ემრავლოს შვილთა ამალა,
მე ჩემი გრძნობით დამშვრალი,
დავრჩები ბედის ამარა.

„წუთისოფელმა უკვე დამღალა“

სარეცელს ისევ მთვარე მინათებს,
და სიმარტოვე მეალერსება,
წუთისოფელმა უკვე დამღალა,
უფალს ვეძახი და მეამება.

ვითომ ნათესი ჩემგან სიკეთე,
ჩემთანვე ეკლად მოემართება,
ამაოება ისევ დამცინის,
გულო გაუძელ, რა გემართება.

სად გინახია წუთით სოფელში,
გრძნობით დარგული ვარდი ხარობდეს,
ან სიტყვა ასჯერ გადაზომილი,
მთქმელს ან გამგებელს ერთად წამლობდეს.

„ დავცარიელდი როგორც მათარა“

დავცარიელდი როგორც მათარა,
და სიმარტოვემ კარი დახურა,
ცხოვრებამ გზებით ისე მატარა,
ჩემი გრძნობებიც თან იმსახურა.

ისე დამაგდო ბედის ამარა,
შრომა და ღვაწლიც დაისაკუთრა,
ჩემში სიკვდილმა გაინავარდა
და მარტოობამ დაისადგურა.

„აწმყომ ძალა იგრძნო ერთობაში“

მე ვარ საამაყო წარსულიდან,
შენ კი საამაყო მომავალში,
წარსული იქცა სასურველად,
ყველა ჩართულია ამ თამაშში.

ასე მიზანია მიღწეული,
ასე ასრულდება ჩანაფიქრი,
მე რომ წარსულიდან მომავალში
შენსკენ სიყვარულით გადმოვეშვი.

აწმყოს ფესვი უფრო უმყარდება,
ძალა რომ იგრძნობა ერთობაში,
რადგან სიყვარულით, რუდუნებით,
ერთურთს ვეხიდებით მომავალში.

ხოდა ყველამ ერთად დავაფასოთ,
შრომა წარსულშიც და მომავალშიც,
რადგან აწმყო იმკის ამით შედეგს,
რადგან აწმყო რჩება კვლავ თამაშში.

„გამითამამდი გრძნობავ თავხედო“

გამითამამდი გრძნობავ თავხედო
და სულიც გინდა გამითავხედო,
უკვე რამდენჯერ მიცრემლდენია,
იქნებ გაზაფხულს შემოახედო.

აკრძალულია სამოთხის ვაშლი,
და მეგობრობა გრძნეულ გრძნობებთან,
კაცობრიობა კვლავ რჩება ვალში,
ცაზე ვარსკვლავნი ბჭობენ მოგვებთან.

ნუღარ თავხედობ გრძნობავ თავხედო,
აწ სულშიც უკვე აღარ ჩამხედო,
გზები ტაძრისკენ გამიკვალია,
ეგებ, უფალსაც მართლად ავხედო.

„ჩემი ცხოვრება ჩემია“

ყველას თავისი ცხოვრება აქვს,
ყველას თავისი ხაზი აქვს,
ჩემი ცხოვრება ჩემია და,
ხალხიც თავისებურად აღიქვამს.

ნუ შევერკინებით ერთმანეთს,
და ნურც დავუწყებთ დაცინვას,
ყველამ ერთმანეთს პატივი ვცეთ
და ნუ დავემსგავსებით მარგინალთ.

„მერე რა რომ“

მერე რა, რომ ლამაზი ხარ, სასურველი, მიმზიდველი.
მერე რა, რომ მდიდარი ხარ, აღარ დაგრჩა საზრუნველი,
მერე რა, რომ აგხდენია ყველა ნატვრა და სურვილი,
აღარ დაგრჩა დარდი, სევდა, უსასრულო, ზღვად ულევი,
ანდა შენს ფეხთ დედამიწა, მერე რა, რომ დაცოტავდა,
მაგის იქით, მეგობარო, დაუკვირდი რა ცოტა ხარ.

„დაპატარავდა სურვილის ნუსხა“

შემომაჩერდი მუზავ ოცნებით,
თუმცა ოცნებებს ფიქრები მუსრავს,
ვხედავ დღითი-დღე როგორ ვოცდები,
დაპატარავდა სურვილის ნუსხაც.

ვეღარც ნატვრამ და ვეღარც სურვილმა,
ვერ დაივანა ირგვლივ მიწაზე,
კეთილ სურვილებს ბოროტმა სძლია,
რა შემიძლია, ნეტავ ვინ ვარ მე?

შენ გეკითხები მუზავ საქვეყნოდ,
რად მებრძვი კვლავაც რომ მაწერინო,
იქნებ ჩვენ ერთად ჩარჩოებს გავცდით,
მარტო დამტოვე, არ მაწყენინო.

„რატომ“

რატომ ვიჯერე რაც დავიჯერე,
რატომ ვითმინე რაც დავითმინე,
რატომ ვისმინე რაც მოვისმინე,
რატომ ვიფიქრე , რაც გავიფიქრე.

ვერც მოვიტირე, ვერც მოვილხინე,
ვერც მოვიფიქრე ყოფა სხვაგვარი,
სხვისი ყურება არად მარგია,
რაც მოვიპოვე, თქმადაც არა ღირს.

ჩემი ცრემლისთვის ვისა სცალია,
ღიმილი არის მათთვის მთავარი,
სხვისი ღიმილი მე რას მარგია,
ჩემს ღიმილამდე გზა მაქვს სავალი.

„სიცოცხლის არსი“

სიღრმეს ვერ ჩავწვდი ფიქრებით სიცოცხლის არსი გამეგო,
მივმხვდარიყავი პირველი, უპირატესი რა იყო,
იქნებ ბედი და იღბალი, გამჩენისაგან რაც მერგო,
იქნებ გონი და უნარი, ცხოვრება რა გზით წაიღო.

ან იქნებ გრძნობა, განცდები, სიყვარულად რომ გაიღო,
მი და მოფანტო გულუხვად, სიკეთის მარცვლად აიღო,
დავნავარდობდე თამამად, ზეცის და მიწის ხმა იყო,
თავის უფლება, ღმერთისგან, თავისუფლებით დაიწყო.

„საით მიდიხართ? რატომ?“

რა სიყალბეა ირგვლივ,
ეშმაკი ხარობს ყველგან,
ადამის მოდგმა ჩვეულ,
ცოდვებსაც ვერ ელევა.

ამაოება ქვეყნად,
გამხდარა მავანთ ჩვევა,
ღმერთისგან შექმნილ შვილებს
დემონი არ ეშვება.

რატომ გავყიდეთ სული,
რა მოგვდის, ეს რა ხდება,
საით მიდიხართ? რატომ?
უფალი გვეკითხება.

„ცხოვრება მუხთალია“

ცხოვრება მუხთალია და რას არ გვიმზადებს,
ძნელია ტკივილი გულს რომ ავაცილოთ,
თითქოს ვიბადებით ცა როცა ინათებს,
მაგრამ უნებლიედ აფრენას აღარ ვცდილობთ.

გვსურს რომ სიხარულით ღრუბლებს გავეშუროთ,
გრძნობადაწრეტილებს ფრთები გვეკვეცება,
რადგან სიძულვილით გრძნობა დავიშურეთ,
სულის საწამლავად ცოდვა გვეკვეთება.

ცხოვრება მუხთალია, ტკივილებს გვიმზადებს,
სული ზეცით ნამავს მოშუშულ იარებს,
ამ რთულ შარაგზაზე გამეფდა სიბნელე,
შევსვათ აზარფეშა, ნუ დავცლით ფიალებს!

„როლი“

ალბათ ყველაფერი ასეც უნდა იყოს,
ნუღა გადავლახავთ საზღვრებს განკითხვისას,
თითქოს თაროებზე მტვერიც უნდა იდოს,
რადგან წარსულში ვართ წიგნის წაკითხვისას.

თითქოს მოქმედება კანონზომიერად,
ჩვენთან შეთანხმებას მაინც არ აპირებს,
უკვე დავიჯერე დრო რომ მისით მიდის,
დროის შეჩერება შეცვლის დანაპირებს.

მაშინ ჩემი როლი რაღა საჭიროა,
იქნებ სცენარისტი საზღვრებს თავად გასცდა,
ალბათ დაწერილი რადგან ასე იყო,
აწმყო რეალობას უფრო მეტად ასცდა.

მე რა შემიძლია, ეს ხომ ასე იყო,
კვლავაც მეორდება, ეს რომ ასე იყოს,
 კარგი დაე იყოს, წარსულს აწმყო იყოფს,
იქნებ მომავალში როლში ყველა ვიყოთ.

„დედის სურნელი“

დედის სურნელი სხვაგვარად მათრობს,
სიტყვაც სხვაგვარად მესალბუნება,
დედა შვილობა უხილავ ძაფით,
სულ სიყვარულზე მესაუბრება.

წრფელი ალერსი დედის გულიდან,
და ლოცვა, თქმული სპეტაკი გრძნობით,
წმინდა წყალივით შესვი თუ გინდა,
და გაძლიერდი დედასთან ყოფნით.

მისი სურნელი იას გავს, მთისას,
და სითბო, მზის სხივს, მანათობელი,
დედის სიტყვაა სათქმელი ღვთისა,
ალერსი მისი, დამათრობელი.

„ეს პაწია ფერიები“

ეს პაწია თოჯინები,
სიხარულს რომ ასხივებენ,
მეამიტი, წრფელი გულით,
თვალებს ბინდს რომ აცილებენ.

ეს პაწია ფერიები,
სიყვარულს რომ ამკვიდრებენ,
ღმერთს მადლობა რადგან ამით,
ჩემს სიცოცხლეს აღვივებენ.

„მეგობრებს“

მინდა მოვხატო კალმით ის წლები,
რომელიც ერთად გამოგვივლია,
ყველა დღე მახსოვს, ყოველ დღეს ვეტრფი,
ამ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია.

თუ მომენატრეთ, რა მოხდა მერე,
სიყვარულს ბევრი კი არ უვლია,
აქვე მოსულა, ჩვენში ჩამდგარა,
სადაც გამთბარი ბევრი გულია.

ჩვენი ყრმობის და გიჟმაჟი წლებიც,
ერთად მოდიან, გზებიც რთულია,
კვლავ ერთად დავდგეთ, ნუ დავიშლებით,
ჩვენ ერთად ყოფნა ისევ გვწყურია.

ახალგაზრდობა თქვენით ბრუნდება,
ეს სიყვარულიც ვხედავ სრულია,
მაშ, გაუმარჯოს ჩვენს ერთად ყოფნას,
ამ დიდ სიყვარულს და ჰარმონიას!

„ახალგაზრდებს“

მოდის თაობა ნიჭიერი, თავისუფალი,
შემართებული, მომავლისკენ სწორად მზირალი,
ხარისთვალება გოგო-ბიჭებს გული შეჰხარის,
მარადიული მემატიანე მიდის მტირალი.

თქვენია ეს ცა, ეს მინდვრები, ჩვენი სამშობლო,
მომავლის რწმენა ჩემს გულშიაც ისევ ბრუნდება,
რაც აქამომდე ვერ შევძელით, ნუ განგვიკითხავთ,
ისევ გაიტანთ ლელოს, ვხედავ, გული დუღდება.

ასე ყოფილა ოდითგანვე, შვილი მამას ცვლის,
ჩვენი წარსულიც მომავლისთვის მხოლოდ ხიდია,
აბა, თქვენ იცით, ხარისთვალება გოგო-ბიჭებო,
გასწით უღელი, ჯერი თქვენზეა, ნუ გეშინიათ!

„მე ღმერთი მიყვარს“

ყველაზე მეტად ღმერთი მიყვარს, მე მაპატიეთ,
და თავად ღმერთი სიყვარული ყოფილა თურმე,
კაცობრიობაც სიყვარულით ისე ატარა,
უფალი მეფობს, მშვენიერებაც სიყვარულს უმღერს.

დღენი გარბიან, დრო არ იცდის, მიდის ცხოვრებაც,
მარადიული სიყვარული დროსთან ერთდება,
მე მაპატიეთ, დროში გზები გამოიკვეთა,
ჩემი ბილიკი მარადიულ გზას უერთდება.

მე მაპატიეთ ხმამაღალი ეს განაცხადი,
რადგან ცხოვრება სინანულის ცრემლი გამხდარა,
სიყვარულისთვის ეს ცრემლებიც დროებას გასცდა,
წინასწარ თქმული მარადიულ დროში გაცხადდა.

მე მაპატიეთ ეს სიჩუმეც სიყვარულისთვის,
და ჩემი ღმერთიც უსასრულოდ მიგრძვნია ალბათ,
კაცობრიობა სიყვარულით როგორც ატარა,
უფალი მეფობს, მე მაპატიეთ, ამას ვგრძნობ ახლაც.

„მე მეშინია“

მე მეშინია ლამაზი ქალის,
ჩემსკენ რომ რხევით მოემართება,
მე მეშინია იმ ყმაწვილ კაცის,
ჩუმად თვალებით რომ მეფერება,
მე მეშინია ღამით სიკვდილის,
სინათლე აღარ დამენახვება,
და სულის ხორცთან იმ განშორების,
ცოდვის მოხსნისთვის რომ ვერ ბრუნდება.

მე მეშინია ღრუბლებში ყოფნის
და მეშინია მიწაზე ფორთხვის,
მე მეშინია ღალატის, შფოთის,
ამაოება სამარეს რომ თხრის.
მე მეშინია ხორცის ზეიმის,
სულს რომ ამძიმებს და ვეღარ შველის.
როს განშორება გარდაუვალი,
ცოდვებთან ერთად ყველაფერს ერჩის.

მე მეშინია სიკეთის კვდომის,
ფარისევლური ხვევნა-ფერება,
ფიქრი, ნათქვამი და მოქმედება,
ერთურთს დროში რომ აღარ ემთხვევა,
მე მეშინია იმ სიყვარულის,
კაცთაგან ცოდვით რომ იმართება,
ღმერთო, მომმადლე გონი და ნება,
ვიდრე სხეული სულს გაეყრება.

„თებერვლის თვეში“

ხეებზე კვირტი მალულად მიცქერს,
აპრილის თვეში აფეთქდეს უნდა,
და თებერვალი გულში იხუტებს,
აპრილის თვემდე გაათბოს თუნდაც.

ხეს თებერვალმა მიართვა წყალიც
და სიყვარული მიანდო აპრილს,
მაღლა ღრუბლები გააცისფერა,
სამყაროს მისცა ფერები ატმის.

თებერვლის სუსხმა გაზაფხულს უთხრა,
მიყვარხარ, მიწას აღვიძებ კარგო,
ჩემი დღეები მე შენ დაგითმე,
ჭრელი ქათიბი რომ მომიქარგო.

ამიტომ, სითბო შემომპარვია
და სიყვარულით ვუმზერს გაზაფხულს,
სამყაროს ვჩუქნი მზის სხივებს გაშლილს,
ვამცნობ სიცოცხლეს ზამთრით დაზაფრულს.

როცა აპრილში აფეთქდება ხე,
მეც შენთან ერთად ვზეიმობ ფერში,
გულს სიყვარული შემოპარვია,
გრძნობა იღვიძებს თებერვლის თვეში.

„წელიწადის დროებთან დრო მიფრინავს თანდათან“

გაზაფხულმა დაყარა ყვავილებთან სურნელი,
მზის სხივებით გაათბო მიწა გაუთბობელი,
მცხუნვარე მზემ, ზაფხულმა, გააშიშვლა სამყარო,
შემოდგომის დოვლათმა გამოკვება სოფელი.

ზამთარს უცდის ბუნება, ციდან თოვლის ფანტელი,
ემზადება საფრენად, ფანტელს ნეტავ რა ელის?!
გადაფარავს მიდამოს თეთრი თოვლი, ქათქათა,
გულს სითბო და ალერსი, სიხარული მოელის.

სამყარო რომ თამაშობს წელიწადის დროებთან,
წელიწადის დროებიც ფერს გვიცვლიან დროებით,
სამყაროსთან თამაშში ისე ვქრებით გზა და გზა,
როგორც თოვლის ფანტელი ხელისგულზე თანდათან.

„ოქტომბერი“

რაღაც სხვანაირად ამოვიდა მზე,
რაღაც სხვანაირად გაანათა სული,
თითქოს სხვანაირად გამობრწყინდა დღეც,
თითქოს სხვანაირად გამოათბო გული.

სადღაც შორეულ ლანდს მოსწოლია სევდა,
სადღაც დასასრული დასწყებია გზებს,
ალბათ ყველაფერი მიხარია ისევ,
ვხედავ ოქტომბერი მილამაზებს წლებს.

„მაცდური გრძნობა“

ისე არ მომკლა,
შენი ამბორი რომ არ მაღირსა,
ყველა ბილიკი შენთან მოდის კვლავაც მთვარის ჟამს,
ფიქრები ერთურთს მოჰყვებიან შუაღამისას,
მაცდური გრძნობა დარაბებს ხსნის გულის კარისას.
თოვლის ფიფქები
ჩემს გრძნობებზე თამაშობს კვლავაც,
მეალერსება ფანტელებიც ქალწულის მსგავსად,
ისე არ მომკლა, შენი ამბორი რომ არ მაღირსა,
ყველა ბილიკი შენსკენ მოდის, შუაღამისას.

„ერთად რამდენი გვივლია“

შევაკოწიწე ფიქრები,
ერთად განვლილი წუთები,
გული აძგერდა, ხალისობს,
ისევ წარსულზე თუ ვყვები.

დრო თითქოს უკან ბრუნდება,
ხალისობს ძველი წუთებიც,
ერთურთს ჩავხედოთ თვალებში,
წარსულით ნუ შევწუხდებით.

ერთად რამდენი გვივლია,
ეს წლებიც გადაგვივლია,
დრო თითქოს გამოილია,
სათქმელი არ დაგველია.

„მომენატრე“

ყოველ საღამოს მოვდივარ შენთან,
დაგეძებ, გიხმობ, მაგრამ არ გესმის,
ლექსების წერა ისევ მომინდა,
რომ ჩემი გული მომეძღვნა შენთვის.

მინდა გადმოგცე, როგორ მიყვარხარ,
უშენოდ ყოფნა ძნელია ჩემთვის,
ჩუმი ცრემლები, შენთვის დაღვრილი,
გარე სამყაროს ისევ ფერს უცვლის.

მინდა ჩამიკრა გულში, ჩვეულად,
ჩემი ცრემლები შორს მიმოფანტო,
დარდი, ტკივილი, უშენოდ ყოფნის,
ტკბილი ალერსით რომ გადაფარო.

„დავანთებ სანთელს“

ტაძრად მივალ და დავანთებ სანთელს,
ისევ მადლობას ვეტყვი ჩემს გამჩენს,
ცოდვებით სული როცა მძიმდება,
მაშინ უფალიც ცოდვა-მადლს არჩევს.

გულიდან ისმის ქვითინი მწველი,
ცრემლები წრფელი მისველებს თვალებს,
შენდობას ვითხოვ, მე მაპატიეთ,
სული მიჰყვება ზეციურ წამებს.

„რა დამაბედა გამჩენმა“

რა დამაბედა გამჩენმა,
რა გასავლელი გზები,
რაც გავიარე, გავლიე,
მაინც ბილიკთან ვრჩები.

აღმართ-დაღმართი დამყვება,
სიცოცხლეს ვერ ველევი,
მინდა დამშვიდდეს ცხოვრება,
რადგან მიფრინავს წლები.

მშვიდი და წყნარი გზა მინდა,
გზა, ჩემი თანამდევი,
რომ ვთქვა, სიცოცხლე მიღირდა,
და გზებიც იყო ჩემი.

„დედის გული“

დედას მეძახის ერთი, ორი, აგერ მესამეც,
გმადლობ უფალო, ჩემი გული გრძნობით სავსეა,
მე მათ ვეტრფი და ვეფერები გულში მალულად,
არავის ვუმხელ, ყველა დედის გული ასეა.

გულზე სათუთად ამოსულო ნაზო ყლორტებო,
იშრიალეთ და დაიზარდეთ დიდრონ მუხებად,
ფესვი გულშია, ის კი მიწას მიებარება,
თქვენი ტოტები ზეცას ავლენ ცის ზურმუხტებად!

მე ვწუხვარ იმ დროს, როცა დედა მოგენატრებათ,
თქვენს გულებს როცა მწუხარების სიმი შეარხევს,
ნუ აცრემლდებით, დედა მუდამ თქვენთან დარჩება,
გაიცინეთ და გადგმულ ფესვებს სითბო შეახეთ.

ეს სიყვარული ჩემი, მუდამ თქვენთან დარჩება,
მე ამაყი ვარ! თქვენი თავი ღმერთმა მაჩუქა,
დედაო ღვთისავ, გევედრები, შენ დაიფარე
ჩემი შვილები, მე არ ძალმიძს, შველა მათ უნდათ.

„ეს გაზაფხული მემახსოვრება“

და უსასრულოდ გამყვება ეს დღე,
მემახსოვრება როგორ გიყვარვარ.
ბედნიერების ეს გაზაფხული
ჩუმად ჩამძახის: „მე შენ მიყვარხარ!“

მე შენ მიყვარხარ, მართლა მიყვარხარ,
თბილი სიტყვები ღიმილს ამშვენებს,
და სიხარული გრძნობით განცდილი,
ბედნიერ თვალებს ცრემლით ასველებს.

მადლობა უკვე სასაცილოა,
ვერ გადაფარავს დახარჯულ წუთებს,
ეს გაზაფხული მემახსოვრება,
ყველაზე მეტად გულს ცეცხლს რომ უნთებს.

„ვითხოვ რაც მიდუღს სისხლში“

ლექსი დავწერე გულის საოხად,
გრძნობა ჩავაწყე რიგში,
თუ დამრჩა ერთი სიტყვა სათხოვნად,
ვითხოვ რაც მიდუღს სისხლში.

ჩემი სამშობლო, ღმერთო, მიკურთხე,
აკმარე გლოვა, დარდი,
ლხინი ამრავლე, მტერი შემუსრე,
ვერ გვერეოდეს ძალით.

ძლიერი ჯიში გაამრავლე და
აკურთხე ერი ჩვენი,
რომ განიმტკიცოს რწმენა ქართველმა,
არ გაქრეს ჩვენი გენი.

ვითხოვ, მარადჟამს, უკუნისამდე,
ცოცხლობდეს ქართველთ მოდგმა.
ივერთ გრძნობები და სიყვარული,
მამა-პაპათგან მოგვდგამს.

„მინდა“

ისე მინდა გითხრა, აზრს რომ ჩაუღრმავდე,
უნდა დავალაგო რითმი თანწყობილი,
ვიცი მელოდები ცაში ასაფრენად,
რადგან საფრენად ხარ უკვე განწყობილი.

მე კი რეალობას მშვიდად მივუყვები,
ვხედავ აქ გზებია უკვე გათელილი,
თითქოს უძებნიათ რაღაც ბილიკები,
რადგან დასასრულის მოჩანს დაწერილი.

როცა გათელილ გზას ახლად მიუყვები,
უკვე შარაგზაა ასჯერ გაზომილი,
და თუ ბილიკს ეძებ ვითომ არგათელილს,
ისევ ტანჯვა – კვნესით შარას უერთდები.

მინდა დაინახო დრო და სივრცე ერთად,
ყველა დასაწყისი სასრულს უერთდება,
მაგრამ დასასრული ისევ დაიწყება,
როცა სავალ გზაზე რწმენა გამოჩნდება.

„აღიარებას მოველი თქვენგან“

აღიარებას მოველი თქვენგან,
მეგობრებისგან, დედისგან, შენგან,
შემოვიარე მთელი სამყარო,
დასასრულია, ვდგევარ აქ, თქვენთან.

ყველა სიტყვაში გრძნობა მოვქსოვე,
მაქმანი თავად ვითხოვე ღვთისგან,
არ მინდა ფუჭი, იოლი სიტყვა,
ნათქვამი ვითომ სალბუნად მტრისგან.

მინდა მოყვასის მართალი ძალა,
განუსაზღვრელად გამთბარი გული,
ნათქვამი ჩემთვის თავის წილადა,
რომ დაამშვიდოს მორჩილი სული.

„წავიდეთ ერთად,ზღვის ტალღებში ვიპოვოთ შვება“

წავიდეთ ერთად, ზღვის ტალღებში ვიპოვოთ შვება,
რომ მზის სხივებად არეკლილი ფერებს ვიცვლიდეთ,
იქნებ სიჩუმემ და ტალღების უცნაურ ხმებმა,
კვლავაც ღრუბლებში გვანავარდოს, როგორც ვიცით ჩვენ.

წავიდეთ ერთად და დავტოვოთ ეს ბნელი ღამე,
მარადისობა სინათლეში ვეძებოთ უნდა,
ნუ დადუმდები, კიდევ ერთხელ მითხარი რამე,
შენი ტკბილი ხმა გამაგონე, გაბრაზდი თუნდაც.

ისევ მე და შენ, ზღვის ტალღები და თოლიები,
მარადისობის ზღაპრებს კვლავაც მოგვიყვებიან,
ლურჯ იალქნებზე სიყვარული კვლავ ამღერდება,
რადგან გრძნობები წლებთან ერთად შენსკენ მორბიან.

„ზოგჯერ წვეთი კმარა“

ზოგჯერ წვეთი კმარა ჯამის ასავსებად,
ჯამი ღვინით სავსე მერე დასალევად,
ზოგჯერ წვეთი კმარა ბოღმის დასანთხევად,
პასუხს მერე ვაგებთ, სოფლის დასალევარს.

ახლაც წვეთ-წვეთობით დარდი მომერია,
გულში იარები ღიად დამრჩენია,
მოდი მომეფერე, დარდი გამიქარვე,
კვლავაც მაგრძნობინე გული რომ ჩემია.

ერთი წვეთი მკმარა გრძნობის მოსარევად,
დაე, ესეც იყოს უკვე დასასრული,
ოღონდ, სიყვარულში, ზღაპრად მოსართველად,
რომ გზა სასრულისკენ იყოს უფრო სრული.

„ამოძახილი“

მე სიძულვილის ენას ვისწავლი,
რადგან ცხოვრებამ უკვე დამღალა,
ვისაც ვეფერე და დავუყვავე,
ჩემს გასაკვირად სადღაც გამქრალან.

უღრუბლო ზეცას, ვარდისფერ ზღაპრებს,
ვეღარ უმღერის დაცლილი გული,
ბოღმა და შური დააქცევს ამ მთებს,
გაქრება რასაც უკვე არ უვლი.

ეს სიყვარულიც ჩაიფერფლება,
და ქარს გაყვება ეს მონატრება,
და სიძულვილი თავის ენაზე,
ახალ არაკებს კვლავაც მოყვება.

„სევდა ღრუბლებს გაჰყვა როგორც ნიავქარი“

სევდა ღრუბლებს გაჰყვა როგორ ნიავქარი,
გულში ცისარტყელა სიზმრებს ფერებს უცვლის,
დროს ხომ ყველა დარდი სადღაც მიაქვს მაინც,
სულში გაზაფხული ნეტავ ვის რას უშლის.

ისევ გაივსება თმენის საწყაული,
და ეს გადავსება საზღვრებს გადასცდება,
იქნებ გამოცდაა ღვთისგან სასწაული,
რადგან სამსჯავროზე კითხვა არ ამცდება.

ისევ გრძელი ღამე სხივის მოლოდინში,
ტაძრად მიმავალი სული მეფერება,
ციდან ნათლისსვეტი ბილიკს მიფერადებს,
იცის იქ მივყავარ, სადაც მეშველება.

მადლით მოფენილი მშვიდი არე-მარე,
სულს რომ ეამება, გულს რომ ეფინება,
თითქოს ყველაფერზე პასუხს უმალ მაძლევს,
ისე მეფერება, ბოროტს ეწყინება.

სულში გაზაფხული კვლავაც აფეთქდა და,
სევდა სიბნელისკენ ჩუმად იპარება,
ისევ ნათლის სვეტი გზას და ცას მინათებს,
გონი სიყვარულით მზისგან იქარგება.

"იბადებიან ჩვენში გმირები"

იბადებიან ჩვენში გმირები,
მაგრამ, თავმდაბლად იკარგებიან,
საქართველოში გმირი შვილები,
სამშობლოსათვის რიგში დგებიან.

მიწას ზვარაკად ეწირებიან.
ცას ვარსკვლავებად ეფინებიან,
ღმერთს ანგელოზად ევლინებიან,
ვარდ-ყვავილებად გვეფინებიან.

გმირებსაც უნდათ ქება-დიდება,
რადგან დიდებით იბადებიან,
შარავანდედი დაჰყვებათ ღვთისგან,
შარავანდედით იბადრებიან.

იბადებიან ჩვენშიც გმირები,
ანგელოზებად ფრთიანდებიან,
ღვთის ნებით, ჩვენი გადარჩენისთვის,
ღვთის ნებას, ნებით ეგებებიან.

„მე სიყვარულში დავიფერფლე როგორც ამბორი“

ჩემს ნატერფალზე თუ გაივლით, სრულად მიხვდებით,
რომ სიყვარულში დავიფერფლე, როგორც ამბორი,
რომ ვნებას ისე ვერ ჩააქრობს ციდან წვეთები,
როგორც სანთელი, მოღვენთილი ტრფობის ამბობით.

ისტორიაა დაწერილი სიყვარულისთვის,
თვით სიყვარულმა გამოძერწა ჩემი სახება,
გრძნობა დამშრალი, დაფერფლილი სიცოცხლისათვის,
ამ ნატერფალზე ნაკვალევად აისახება.

„მხოლოდ მე მესმის“

მხოლოდ მე მესმის,
გრძნობით ნათქვამი ეგ ცივი სიტყვა,
მხოლოდ მე ვხვდები,
ჩუმად გზავნილ ტრფობის წერილებს,
სიყვარული რომ არ ბერდება, ეს უკვე ითქვა,
შენი ნათქვამი „მიყვარხარო“ უკვე ბევრს იტევს.

გეტყვი,
გაფრინდა, მოგონებებს გაჰყვა დღეები,
ალბათ არასდროს, აღარასდროს დაგელოდები,
ალბათ ბედია .....
შორს ვარსკვლავზე სხედან მტრედები,
და მარადიულ სიცოცხლეში არც ჩვენ ვბერდებით.

„ნეტავ რად მინდა“

ნეტავ რად მინდა ოქრო-ვერცხლი, ან ზღვა სიმდიდრე,
ნეტავ რად მინდა რომ მაქებდნენ ჩუმად თუ რიხით,
ჩემი ნატვრაა სული ლოცვით თუკი იდიდებს,
მარადიულში გადავიდეს სხეულის იქით.

მართლა არ მინდა ეს უაზრო მოკაზმულობა,
ან ეს დროებით ღრეობაში გასული შფოთი,
აზრი არა აქვს ფერუ-მარილს, მოქარგულობას,
მინდა ვისმინო ყველა სიტყვა, უფალო რაც თქვი.

ნეტავ რად მინდა რომ მინდოდეს ქება-დიდება,
ყველა სიმდიდრეს მართალი სიტყვა წონიდეს ნეტა,
სასუფეველი ერთი მცირე კარით იღება,
და ამ კარებში შესვლა მინდა ყველაზე მეტად.

„მრწამსი“

ვინც ამ ცხოვრების ტკბილი ნექტარი,
სიცოცხლეშივე მალულად შესვა,
შხამად ეგების! უფალს განუდგა
და მისი სული ეშმაკმა მწყემსა.

როგორ დავტკბები ამაოებით,
თუ მოყვასისთვის არ მიძგერს გული?!
როცა ხორცს ვთრგუნავ, როცა სხვას ვშველი,
მხოლოდ ამითი ზეიმობს სული.

დიდება უფალს და მშვიდობა ჩვენ,
ყველა ქრისტიანს და ყველა ქართველს!
ყური სმენადო და თვალი ხილვად,
მეტი აზრი და გონება გვმართებს!

„მინდა რომ “....

მინდა, რომ რითმებს მოლოდინში გავეთამაშო,
რადგან იგრძნობა დრო ჩართული ჩემს გასაქრობად,
მინდა, მოვასწრო ცისარტყელას გავყვე სადღაც, შორს,
რომ დრომ და ჟამმა ვერ გაბედოს ჩემი ჩაქრობა.

მინდა, რომ ჩემი სიყვარული გავათამამო,
რადგან წამები დათვლილი აქვს ამაოებას,
ბედთან ჭიდილში უსასრულოდ ისე გადის დრო,
შეშინებული კარს არ ვუღებ ჩემს მარტოობას.

„მიყვარს ეს სამყარო“

მიყვარს გაზაფხული როგორც დასაწყისი,
როცა ხეს კვირტები მუცლად ებერება,
სიცოცხლის ხალისია დროის ეს საწყისი,
როცა მზის სხივები ყელზე გეფერება.

მიყვარს შემოდგომა, როგორც დასასრული,
როცა კვლავ იწყება ხიდან ფოთოლცვენა,
როცა მზის სხივები, ძალადაკარგული,
კვლავაც დედამიწას გულზე ეფინება.

მიყვარს ეს სამყარო, თბილი გაზაფხული,
ოქროს შემოდგომა, მთებზე ნისლის ფერი,
ჯერ რომ დაბადება გვატკბობს არნახული,
ბოლოს დაბადების მოსჩანს დასასრული.

„ჩემო სამშობლოვ“

ჩემო სამშობლოვ, ეს მერამდენედ გული გატკინეს,
აღარა ვჩივი ზურგზე იარებს, რაც დაგამჩნიეს,
სისუსტით, ბოღმით და ლაჩრობით ისე გაგყიდეს,
სულში გაფურთხეს, დაგამცირეს, ძვლები გამტვრიეს.

ჩემო სამშობლოვ, ეს მერამდენედ სტირი უმწეოდ,
ცრემლი მდინარედ აგიდიდეს და გადაგრიეს,
ტყეებს, ნაფერებს, გულზე გაზრდილს, კვამლი ადინეს,
ფარისეველთა და მაცდურთა ხელი დაგრიეს.

ჩემო სამშობლოვ, შენთან ერთად ჩვენც გაგვაწბილეს,
ტანჯვა-წამება მოგვისაჯეს, სული გვატკინეს,
რწმენა, სამშობლოს სიყვარული, ფრესკიდან წმინდეს,
ჯიში, ჯილაგი დაგვიწუნეს, ცრემლი გვადინეს.

ჩემო სამშობლოვ, მერამდენედ გვიწევს ლოდინი,
როს წარსულიდან მომავალში კვლავ გადავიდეთ,
ადათ-წესები ძარღვებში რომ სისხლად გვიდუღდეს,
ღმერთო, დიდება დაგვიბრუნე, გადაგვარჩინე.

„რა ტკბილი ხარ და რა საამური“

რა ფრთხილი ხარ და რა მომხიბვლელი,
ხარ ძლიერი და მოსიყვარულე,
ვხედავ ფიქრებშიც აღარ მშორდები,
მოვალ და გულზე მოგისალბუნებ.

როგორ მიზიდავს ეგ ჩუმი მზერა,
გულს მიღონებს და გონებას მიმღვრევს,
ისევ ლექსების მომინდა წერა,
დამალულ გრძნობის კარებს რომ მიმსხვრევს.

რა ტკბილი და რა საამური,
ხარ სასურველი როგორც ედემი,
ისარს კვლავ მესვრის გულში ამური,
და შენს მკლავებზე მშვიდად ვეცემი.

„ცის კაბადონზე ვრჩები ტრფობისთვის“

ცის კაბადონზე ოცნებები მძივებად ვკინძე,
ფერთა პალიტრა მოვატარე სიდიადისთვის,
მე რომ მომწონდა ის ვარსკვლავი ცაზე მოვნიშნე,
და მომავალი მივამაგრე სიყვარულისთვის.

მზის სხივებს დილის ათინათი მოვახატინე,
ღამის გუშაგებს შევუკვეთე მთვარის სონატა,
გულით წარსულის სატკივარი რომ დამაქვს კიდევ,
აწმყოს ვთავაზობ ჩემთან ერთად ლექსებში ტანტალს.

ფიქრთა სამყარო იმედებით მივსებს ფიალას,
და სიყვარულის თრიაქს მაწვდის კვლავაც თრობისთვის,
მზის სამეფოსაც გაუღია ფართოდ დარაბა,
რომ ცის კაბადონს მივაშურო ჩუმი ტრფობისთვის.

„ჯვარი ამაღლდა“

ჯვარი ამაღლდა ზეცად ლოცვისთვის,
ცოდვებმა მიწა შემოიარა,
ვერ მოვიცალე თითქოს სევდისთვის,
სინათლემ სულთან ჩამოიარა.

აღარ მცალია თვალთა ცრემლისთვის,
გოდებამ გული გამოიარა,
ზეცას მივყვები ამაღლებისთვის,
ჯვრის ძალით სულში ვებრძვი იარას.

„უსასრულოდ მივუყვები ბილიკს“

ვხედავ წლები გამეპარა სადღაც,
ვხედავ დროში რანაირად ვიწვი,
უსასრულოდ მივუყვები ამ ხმას,
უსასრულოდ მეფერები ვიცი.

დრო გამექცა, გაიპარა, გაქრა,
ვარსკვლავებმა ჩამომართვეს ფიცი,
ლექსით სული ვასაზრდოვო თანაც,
ლექსად მოვყვე დროში რას განვიცდი.

მთვარე კუშტად მაკვირდება ახლაც,
სულის სარკის ანარეკლი კი მცდის,
უნდა ზეცა მომატაროს და თან,
უნდა ვიგრძნო დრო რომელიც მიცდის.

ვხედავ წლები გამეპარა სადღაც,
მე კი სულის ბავშვურობით ვიწვი,
ვარსკვლავები მაცილებენ ახლაც,
უსასრულოდ მივუყვები ბილიკს.

„დავცარიელდი, უსუსური ვუმზერ სამყაროს“

მე გუშინ ვნახე როგორ ტიროდა სატრფო გულისსწორს,
მე გუშინ ვნახე ცრემლთადენა მწველი და წრფელი,
ამ განშორებას მხოლოდ მათი ორი გული გრძნობს,
ამ განშორებამ ორად გაყო სხეული მთელი.

მე შემაშფოთა ხელოვნურმა ვითომ ცრემლებმა,
და სისასტიკემ განკითხვისამ სხვისი ტკივილის,
ამ სამყაროში როდის, როგორ, ვისი დრო დგება,
არავინ უწყის სად გვეწევა ჟამი ტირილის.

დავცარიელდი, უსუსური ვუმზერ სამყაროს,
სხვისი ჭირი და სხვისი ლხინი ხელოვნურია,
კაცობრიობამ რწმენა გულში რომ გაამყაროს,
მაშინ სხვის ომში სიბრძნის ფრქვევაც დემონურია.

„მშვენიერება ზეცას მიფრინავს“

მონაცრისფერდა ცა ვარდისფერი,
სიცოცხლემ სიკვდილს გაუღო კარი,
სასოწარკვეთამ მოიცვა სამწყსო,
და ჟამისფერი გათენდა დარი.

მზეც კი ატირდა ცხარე ცრემლებით,
მშვენიერება ზეცას მიფრინავს,
ბედნიერებამ თავი დახარა,
და სილამაზეც მსხვერპლს კვლავ იწირავს.

მოჟამისფერდა ცა ვარდისფერი,
კაცობრიობა გულში დარდს იკლავს,
და ეს სამყარო, დაუნდობელი,
მშვენიერებას ვეღარ იხილავს.

„გვწყურია ვინმეს ვუყვარდეთ“

გვინდა რომ ვიღაც გვიყვარდეს,
გვწყურია ვინმეს ვუყვარდეთ,
ოღონდ გულისთვის რომ ღირდეს,
ოღონდ თვალები ბრწყინავდეს.

სიყვარულია თვით ღმერთი,
ალბათ ამიტომ გვწყურია,
და ისიც არის ის ერთი,
გული რომ გაყოფილია.

ფიქრი, გრძნობა თუ წადილი,
მალამოდ სულს რომ სწამლობდეს,
გვწყურია ვინმეს ვუყვარდეთ,
გვწყურია ბედი გვწყალობდეს.

„უკვე წარსულზე ფიქრი მართობს და მეღიმება“

უკვე წარსულზე ფიქრი მართობს და მეღიმება.
წასულ ნაბიჯებს ირონიით ვიხსენებ ახლაც,
მივარდისფრდება კვლავ ღაწვები და მერიდება,
გული წლებს ითვლის და ბავშვურად მიმალავს ასაკს.

ვინ მეკითხება, საით მინდა მე სიარული,
შარაგზა მაინც დასალიერს უახლოვდება,
ის ნაბიჯები და განცდილი ის სიხარული,
უძლურებასთან მოგონებით უკან ბრუნდება.

უკვე წარსულზე ფიქრი მართობს და მეღიმება,
თოვლის ფანტელზე გაზაფხული ვეღარ ბრწყინდება,
მე და სამყაროს თუკი სადმე შეგვიღამდება,
გათენებამდე ალბათ ძლიერ მომეწყინება.

„ვნებას მივყვები – გონი მჭირდება“

ვინ იცის იქნებ ახლა ვაკეთებ დიდ სისულელეს,
ვინ იცის სწორედ ახლა ჩავდივარ ცოდვას,
ჩემს მეორე მეს ახლაც ვებრძვი და მითუმეტეს,
გონი მჭირდება, ვეღარ მოვყვები ბოდვას.

დრო აღარ მრჩება, ვერც ვიჩქარებ და ვერც ვდუნდები,
ნათქვამი სიტყვა რადგან გულის ნაფიქრალია,
გრძნობის მორევში და წარსულში თუ დავბრუნდები,
ჩემი ბრალია და პასუხიც ჩემი ვალია.

ღმერთო, მიშველე, სული ცოდვილი გადამირჩინე,
უგულო ლოცვა ვეღარა მშველის, მორჩა,
გული წრფელი და გონება საღი კვლავ დამიბრუნე,
ვნებას მივყვები, ხსნა კი არსაით მოჩანს.

„სარკმელს მოადგა ცელქი ნიავი“

სარკმელს მოადგა ცელქი ნიავი,
ოთახში მეფობს სიჩუმე მკაცრი,
შორიდან თითქოს შედგა ტანდემი,
სიჩუმე სიოს ტრფობას არ აცდის.

დარაბებს მიღმა ატამი ჰყვავის,
ლივლივებს ზღვა და კაშკაშებს ზეცა,
ცელქი ნიავი ალერსისათვის,
თავგამოდებით დარაბებს ეცა.

რით დასრულდება ეს თავგანწირვა,
როცა თამაშობს გრძნობა გრძნეული,
მიზნისკენ სწრაფვა თუ დროში კვდება,
მაშინ გრძნობებიც რჩება ეული.

მინდა რომ გითხრა რაღაც ახალი,
ხოტბა შევასხა სიცოცხლის ხესაც,
იდუმალ მზერას იპყრობს ლამპარი,
შენი თვალები აქრობენ მზესაც.

მწველი სხივები გონებას მიხშობს,
ალი ედება სიყვარულს ჩემსას,
და ღონემიხდილს ჩურჩულით მიხმობს,
გრძნობა, რომელიც ვერ ვნახე ვერსად.

„მარტოდ დარჩენილს“

მარტოდ დარჩენილს მხოლოდ ერთი სურვილი დამრჩა,
რომ შენს მკლავებში განუტევო ტანჯული სული ,
იქნებ ერთხელაც მომიქარგო სურვილის ფარჩა,
რომ სუნთქვაშეკრულს მეკუთვნოდეს ეგ შენი გული.

სასოწარკვეთა ცდილობს სხივი შეცვალოს ბინდით,
და აპათიას მამეგობრებს ლოდინით დაღლილს,
ბედის ბორბალი ჩემს ცხოვრებას ქარიშხალს ანდობს,
და სამუდამოდ სურს დამტოვოს სევდით და დარდით.

მარტოდ დარჩენილს კვლავაც ერთი სურვილი მრჩება,
რომ შენს მკლავებში განუტევო ცოდვილი სული,
და რადგან ნატვრა სიცოცხლეში ერთხელაც ხდება,
ბედნიერება კვლავ შემოხსნის დარაბებს გულის.

„ლექსია სულის ქათიბი“

ლექსია სულის ქათიბი, გრძნობით ნაქარგი სამოსი,
გულში სათუთად მალული ნაკადულად რომ გადმოდის,
სულის სარკეა ხილული, მარგალიტებით ნამოსი,
ლექსი საზრდოა მკითხველის მთქმელს თუ სათქმელი
გამოსდის.
ბუნებამ ნიჭი აფრქვია, სულსაც დაუდგა ცხონება,
მთავარი არის სათქმელი ვის როგორ მოეწონება,
წრფელი თუ არის გრძნობები, გულიც მას დაემონება,
საწუთროს ერთი აგური – ეს არის ჩემი ქონება.

„მომინდა შენი ალერსი“

მომინდა შენი ნაზი კოცნა და
მომინდა შენი ჩუმად ალერსი,
არ ვიცი გრძნობა ახლა განცდილი,
როგორ გადმოგცე ახლა ამ ლექსით.

სარეცელს მთვარის შუქი ანათებს,
სარკმელთან ვდგები და ისე გიცქერ,
სიო ღამეს რომ მოსტაცებს ამბორს,
მინდა სიცოცხლეც სიყვარულს მივცე.

თუ სასთუმალთან წამით დავჯდები,
ხელს ვერ შეგახებ, არ გაიღვიძო,
თორემ სიზმარი ცხადში მეწვევა,
ანაზდად უცებ რომ გამიღიმო.

„სიყვარული უფრო ადვილია“

მაინც რა ყოფილა გრძნობა სიყვარულის,
სიმი გულის სიღრმეს კვლავაც შეერხია,
თბილი, ტკბილი მზერა თვალებს ასხივოსნებს,
სიტყვებს ბაგეთაგან სითბო შეერია.

გრძნობამ არემარე ისევ გაანათა,
აზრმა, სწორად მდგარმა, ისევ აგვამაღლა,
წრფელმა სიყვარულმა ისე გაგვანათლა,
ქვესკნელს დავეხსნებით, ღრუბლებს მივდევთ მაღლა.

მაინც, სიყვარული უფრო ადვილია,
როცა შენი ნება გულის ძახილია,
და თუ ნებით გულში გრძნობის ადგილია,
მაშინ სიყვარული უკვე ნამდვილია.

მაკოცე, ერთხელ მაკოცე

მაკოცე, ერთხელ სიზმარშიც,
სიზმარშიც ცხადად მაკოცე,
შენზე ფიქრები ჩემს გრძნობებს,
უკვე სხვაგვარად აოცებს,

იცოდე, ვეღარ გავუძლებ,
და შენს მაგიერს ვაკოცებ,
და მერე, გული არ დაგწყდეს,
ან მერე, აღარ გაოცდე.

„იმერეთია“

სადაც გელიან, სადაც მღერიან,
სადაც სტუმარსაც თავს ევლებიან,
სადაც სიცოცხლე და ხალისია,
მეც ყოველ ჯერზე მომიხარია.

იმერულ გულს და იმერულ სალამს,
მე ვერ გადმოვცემ, თუმც ვიღებ კალამს,
მხოლოდ სიყვარულს შემოგაგებებ,
სიყვარულითვე მორთმეულ ალამს.

მოდით, იგემეთ, დატკბით ჰანგებით,
და მოისმინეთ თბილი ქარაგმა,
იმერეთია, ჩაეხუტები?
ჩაგეხუტება ასჯერ, ათასმაგს.

იმერეთია, ლხინის ალაგი,
დილის მზის სხივით გამთბარი ოდა,
სიკეთისა და სიბრძნის მარაგი,
სიყვარულისთვის მადლად რომ მოვა.

„რა სიჩუმე და რა სიმშვიდეა“

ღამის წყვდიადში იდუმალ ზეცას,
მთვარის სიმკრთალით ეღიმებოდა,
და მოციმციმე ცის ვარსკვლავები,
გულზე მძივებად ეფინებოდა.

რა სიჩუმეა, რა სიმშვიდეა,
სამყარო როგორ გადარინდულა,
ადამის მოდგმა სადღაც გამქრალა,
ზეცაც სიჩუმით გადაბინდულა.

ღამის წყვდიადი გამეფებულა,
ნიავიც თითქოს ცას მისწოლია,
აღარ სუნთქავენ მგონი ჭადრები,
აღარც ძაღლები ყეფენ მგონია.

რა სიჩუმე და რა სიმშვიდეა,
წუთებიც უკვე არსად გარბიან.
გაჩერებულა ფიქრები დროში,
და სიჩუმეში მშვიდად არიან.

„გულში სიყვარულად ჩამიგუბდი“

გულში ნაკადულად ჩამიგუბდი,
ახლა გადმოვხეთქავ, არა, გვიან,
მაინც მოვადგები შენს ნაპირებს,
შენს თმებს შევეხები დალალიანს.

ისევ ავზვირთდი და ჩემი გრძნობაც,
გულში არ ეტევა რახანია,
მაინც მოგიტაცებ და წაგიყვან,
მთებში გადაგმალავ ნაბადიანს.

შენი სურნელება ახლაც მათრობს,
ნაზი თითები კვლავ მეხებიან,
შენი სიტურფე და სილამაზე,
ფრესკა, წარუშლელი ნახატია.

ისევ მომინდი და მომესურვე,
წამით არ მშორდები გულდარდიანს,
ვეღარ გავუძლებ და შენთან მოვალ,
მოვალ, ჩაგიხუტებ თვალნამიანს.

გულში სიყვარულად ჩამიგუბდი,
ვხედავ უშენობამ გადამრია,
გრძნობად შემეყარე, ავადა ვარ,
ახლა შენი სუნთქვა წამალია.

„ისევ სიყვარული გადაგვარჩენს“

შავი ღვინო მასვეს დასათრობად,
რადგან სიყვარული ვერ შემატყვეს,
კიდევ მომაწოდეთ აზარფეშა,
სუფრას ჩემი გრძნობა შემოაწყვეთ.

ისევ სიყვარული გადაგვარჩენს,
ოღონდ გამხელილი, წრფელი გულით,
ჩვენ ხომ სიყვარული შეგვიძლია,
მაშინ რად დავდივართ დაჩაგრული.

რატომ ვერ ვეძახით ერთურთს გრძნობით,
გრძნობა რატომ არის დამალული,
ალბათ შავი ღვინო მომერია,
რადგან აზრი დამრჩა გაფანტული.

როცა დავიბადეთ, უნებლიედ,
ჩვენთან დაიბადა სიყვარულიც,
მითხარ, სად გამქრალა ყოველივე,
მითხარ, სად ვიპოვეთ სიძულვილი.

„მეტი“

მეტი ჰაერი!
კაცობრიობა უგუნურებით უფსკრულისკენ მიექანება.
მეტი მზის სხივი!
დედამიწაზე მარადიული და უკუნი მოიწევს ღამე.
მეტი ღიმილი!
სწორედ მაშინ, დაკოდილ გულს მალამოდ რომ მოეფინება,
და უკანასკნელ გზას რომ შვენის, თან ითვლის წამებს.
მეტი ალერსი!
ნაძალადევი და მტანჯველი,
ან სევდიანი და უიღბლო წუთების მერე.
მეტი ხალისი!
სევდიანი მოლოდინის და ცრემლიანი ღამეების
თენების შემდეგ.
და სიყვარული!
წრფელი, ნამდვილი, მხოლოდ სიკეთეს,
სათნოებას ყველგან რომ ეძებს.
ღმერთო ძლიერო,
ხელი ჩამკიდე და მატარე სიყვარულით დარჩენილ გზებზე.

„უფლება არ მაქვს“

უფლება არ მაქვს არ მიყვარდე,
რადგან სამყაროს შეაჩერებ თუ დამჭირდება,
უფლება არ მაქვს არ მოგენდო,
ჩემთვის სიცოცხლეს შეელევი, მე თუ მჭირდება,
უკუნეთ ღამეს გამინათებ,
და შენს მკლავებში უშფოთველად დამეძინება,
უშენოდ ყოფნას და სიცოცხლეს არც ვიფიქრებ,
ვიცი უშენოდ გამიჭირდება.

მე ამ უფლებით შენთვის ვცოცხლობ და ვარსებობ,
რათა სამყაროს მიწვდე ხელებით,
მე ამ უფლებით გეუფლები
და შენს სიცოცხლეს სიყვარულით მოვეფერები,
ხელი ჩამკიდე, უგუნურებამ არ გამიტაცოს,
არ მომხიბლოს მუქი ფერებით,
რომ შენ სუნთქვასაც ვუდარაჯო,
 და ყოველ დილით მზის სამყაროდ მოგეფინები.

უფლება არ გვაქვს არ გავიჭრათ დროს და სივრცეში,
და ცისარტყელას არ ვაჩუქოთ ფერები თბილი,
უფლება არ გვაქვს არ მოვჭედოთ უღრუბლო ზეცა
ვარსკვლავებით,
თვით ვარსკვლავებად უსასრულოდ გადაჭედილი.
და ამ უფლებით უფლება გვაქვს, ისე გვიყვარდეს
ერთმანეთი,
როგორც სიცოცხლე საჩუქარი ღვთისაგან ტკბილი,
რადგან შენ ჩემთვის, მე კი შენთვის დავიბადე,
და გული ფეთქავს სიყვარულით გადაპენტილი.

„ფიქრებში გართულს“

ფიქრებში გართულს მაგონდება ბავშვობა წრფელი,
და მასთან ერთად კვლავ მინდება განავარდება,
ნეტავ შემეძლოს გავიტაცო სამყარო მთელი,
სანამ სიცოცხლე სიკვდილისთვის გადავარდება.

როგორ მიფრინავს სანუკვარი ჩუმი წუთები.
ზეცას და მიწას სამუდამოდ ყველა ენდობა,
სილამაზისთვის ამ საწუთროს თუკი უხდები,
გულს ეს ტკივილი აარიდე რადგან გენდობა.

ფიქრებში გართულს მაგონდება ბავშვობა წრფელი,
გზის დასაწყისში ახდენილი ყველა ოცნება,
ღვთისგან დაშვებულ სასწაულებს მე ისევ ველი,
მივყვები გზებს და მოგონებაც უმალ მშორდება.

„ვარდობს მაისი“

ვარდობის თვეა, შენი მაისი,
მზის სხივი მკოცნის სიდარბაისლით,
ყვავილთ სურნელი აღვიძებს აისს.
სიცოცხლის კვირტი მიმზერს ხალისით,

მზემ თითქოს თვალი ჩაუკრა დაისს,
და ვარსკვლავებთან აფრინა მაცნე,
ყოჩივარდებმა დატოვეს სცენა,
ახლა ვარდია უკვე სცენაზე,

ვარდობის თვეა, ვარდთა აისი,
მზის სხივი მკოცნის სიდარბაისლით,
ვარდის ფურცლებით კრთება დაისი.
ხარობს სიცოცხლე, ტურფობს მაისი.

„გახსოვს? მითხარ“....

გახსოვს? მითხარ, „ბევრი არ გთმობს,
გეფიცები არც მე დაგთმობ,“
დაგიჯერე, გელოდები,
მივხვდი ამ გულს როგორ ათბობ.
სიყვარული დამანახე,
როცა თვალებს ვერ ვახელდი,
შეინახე, შემინახე,
დაელოდე დროს გაცვეთილს,
დაიფიცე და არ მტოვებ,
და სიზმრებად ჩემთანა ხარ,
მომიტევე, რომ ვერ მივხვდი,
შენს გრძნობებს და მაგ „მიყვარხარს“,
ახლა, თუკი გვიანია,
თუ ვერაფერს ვეღარ შევცვლით,
ისევ შენ ხარ მესაჭე და
გადაწყვიტე .... ცხოვრებას ვცვლი.

„და ვიცოცხლებ მარად“

არაფერზე არ ვიდარდებ,
შენ რომ მყავდე კარგად,
ზღვა სიყვარულს მოგაგებებ,
და ვიცოცხლებ მარად,
ბოროტს მკერდით შევაჩერებ,
დაგიდგები ფარად,
მზე ამოვა, განათდება, მთაც ჩამოვა ბარად,
სიცოცხლე და სიყვარული,
აფეთქდება ზღაპრად,
მარადიულ სასუფეველს,
ღმერთი მოგვცემს ალბათ,
ერთი სიტყვა გულით თქმული,
მომედება წამლად,
სიკვდილს უმალ დაამარცხებს,
სიყვარულის ძალა,
მოდი, ნუღარ მალოდინებ,
დრო აღარ მაქვს, არა,
არაფერს გთხოვ,
ერთხელ თავი მაგძნობინე ზღაპრად,
წლები ისე გაიპარა, ისე გაქრა სადღაც,
გული ტრფობით ვერ აივსო,
გრძნობა ვერ დამალა,
ეს შეცდომა, ან რაც იყო, აღარ მინდა, არა,
თუ შენც არ ხარ, მაშინ მითხარ,
წავალ, მეც შორს წავალ.

„დიდება ღმერთო“

დიდება ღმერთო, დაილოცოს შენი განგება,
ხიდან ფოთოლიც შენს გარეშე არ დავარდება,
ადამის მოდგმის ხვედრს ზეციდან ისე განაგებ,
ძვირფას სიცოცხლეს, შენს საჩუქარს, ფასი არ ადევს.

მადლობა ღმერთო ყველაფრისთვის, რაც მაბადია,
სიცოცხლისათვის სიყვარული დიდი განძია,
ამ სამყაროში ღია გულიც დაგიბადია,
დიდება ღმერთო, შენი ნებით ესეც მადლია.

დილა თენდება, მზეც სამყაროს მოეფინება,
მადლი ზეციდან ლოცვის ძალით მოედინება,
ლაღი, სპეტაკი სიყვარული სულს ეფინება,
და ჩემი გული კვლავ მიყვება დროის დინებას.

მადლობა ღმერთო ყველაფრისთვის, რაც მაბადია,
ჩემი სიცოცხლეც, სიყვარულიც, მზის სადარია,
ისე მატარე დარჩენილი წუთისოფელი,
შენთან შეხვედრამ ის მარგუნოს, რასაც მოველი.

„ლამაზმა ქალმა“

დილა გათენდა მზისფერი,
ქალი სიყვარულს მიხსნიდა,
ისეთი თავბრუ დამესხა,
გული ვით დაივიწყებდა.
ალალ-მართალი სიტყვები,
გრძნობას ჯერართქმულს მიმხელდა,
ფშავლის ქალივით ლამაზი,
სიტყვები გულზედ მიმზერდა.
ბაგედან სიტყვა მდინარემ,
სულის სიმშვიდე მომტაცა,
დამტოვა პირმომცინარი,
ლამაზმა, თვალებ წარმტაცმა,
უმალ გაქრა და წავიდა,
გული მომპარა, გამტაცა.

„და საქსაფონი სიყვარულს მიხსნის“

იღვრება მუსიკა,
 და საქსაფონი სიყვარულს მიხსნის,
მელოდიებმა გააღვიძა გრძნობა წარსულის,
უთქმელი სიტყვა ნათქვამს უკვე ათასჯერ წონის,
და ნოსტალგია მეუფლება დროგადასულის.

საქსაფონი კი ღამის ნოტებს თამამად არხევს,
და სიყვარულზე კვლავ მიმღერის გრძნობად ქცეული,
გული სიმებით გადაბმულა და გრძნობებს აფრქვევს,
და რეალობას გავურბივარ მარტო, ეული.

„ბავშვი ვიყო“

როგორ მინდა ბავშვი ვიყო,
გული თრთოდეს პატარა,
მზის სხივებთან ვთამაშობდე,
თან წვიმაში მატარა.
მინდვრად პეპლებს დავედევნო,
ციცნათელებს ლამპრადა,
გამინათონ ღამე ბნელი,
ღამემ ძლიერ დამღალა,
მომენატრა ბავშვობა და
მომენატრა, მაგრამ რა,
დროს ვერავინ გააჩერებს,
დრო თავისით გამქრალა.

„მუზად მჭირდები“

მუზად მჭირდები, მუზა ჩემი ლექსის აზრია,
ლექსად გიამბობ, ამ გულს გრძნობად რაც აბადია,
თუ გადაგღალე, მაშინ მითხარ, ნუ გერიდება,
ნაძალადევი გრძნობა ლექსსაც განერიდება.

ხიდზე ჯვარი გვაქვს გასადები ყველას ჩვენ ჩვენი,
და ცხოვრებისგან ამაზე მეტს არას მოველი,
რაც უნდა იყოს, ის იქნება, არ მაქვს სათქმელი,
ლექსად ვიქცევი, წამიკითხე, არ არის ძნელი.

„რა დალოცვილი მიწა გვქონია“

რა დალოცვილი მიწა გვქონია,
ცის ქვეშეთს მსგავსი გაუგონია?
ღვთის მადლი სხვაგან არა მგონია,
რაც უფალს ჩვენთვის მოუგონია.

სად მზის სხივებით გვითბობს სიცოცხლეს,
სად გვეფინება სულის ცხონებად,
სად მიწისქვევით გვიქმნის სასწაულს,
რომ არ გვაქციოს ხორცის მონებად.

დაფიქრებული დავიარები,
სიტყვა ვერ ვნახე აზრის სათქმელი,
მადლი ეს არის, რაც გვაბადია,
რაც უფალს ჩვენთვის დაუბადია.

„ნეტავ“

ნეტავ,
სად მიდის სიტყვა გულში რაც არ ეტევა,
რა ძალა ყოფნის ბაგეთაგან წარმოსათქმელად,
უგუნურება ვის, როდის და სად დაეწევა,
ძნელია ფიქრი და ძნელია ჩვენს აღსაქმელად.

ნეტავ,
რად გვინდა ცოდვა-მადლის მსაჯულად ვიქცეთ,
და სამართალი დავიკისროთ ცოდვილ მიწაზე,
მთავარი არის წრფელი გული ერთმანეთს მივცეთ,
თავისუფლება არ დავკარგოთ დედამიწაზე.

ნეტავ,
ოდესმე მაზიარა ჭეშმარიტებას,
და სიყვარულით მანავარდა წუთისოფელში,
ცაში აფრენა თავისთავად მოაქვს დინებას,
თუკი უკვდავ სულს არ დაახრჩობ ცოდვით სოფელში.

დავბორიალებ კითხვა-კითხვით, რა, რატომ, როგორ,
განკითხვისთვის ვემზადები ფერშესაცვლელად,
გული მოყვასის სიყვარულით ფეთქავდეს ოღონდ,
რომ ზეცას წარვსდგე ამ ლექსებით სიტყვის სათქმელად.

ნოველისა სულის ფანტაზია
ეროვნული ნაფიქრი სამყარო